


საქართველო  
სიმბოლი



საუმაწვილო ნახატებისა  
ჟურნალი

No XI

ნოემბერი

1909

მინარესი  
უფრაც „პევილისა“

|   |    |
|---|----|
| I ზამთარი სურათი . . . . .  | 2  |
| II ოოროლა ლექსი გ. ქუჩიშვილისა . . . . .                                  | 3  |
| III წყლის წვეთი ამბავი . . . . .  | 4  |
| IV დარბაისელი ბელურა (თარგმნი) ტასნისი . . . . .                          | 5  |
| V ტახი ჩინური ზღაპარი თარგმანი ეგ. მესხისა . . . . .                      | 7  |
| VI გულ კეთილი ექიმი. ლადა ბებეჭერისა . . . . .                            | 13 |
| VII მაწანწალა ბიჭები ვიქტორ ჭუბასი. . . . .                               | 20 |
| VIII მანქანების შესანიშნავი მომგონი უატტი—ა . . . . .                     | 24 |
| IX მაიმუნი დიდათ კმაყოფილია (სურათის აღწერა.) . . . . .                   | 28 |
| X ნატალია გაბუნია-ცაგარლის 30 წლის იუბილე                                 |    |
| ებ. გ—სა. . . . .   | 29 |
| XI ვარდი ლექსი ლ. ბებეჭერისა . . . . .                                    | 32 |
| XII პატარა სელიმის ყვავი მოთხ. ბულგაკოვისა თარგმ. ახ. წერეთლისა . . . . . | 33 |
| XIII ინდოეთის ლელვის ხე. ალექსი ჭიჭინაძისა . . . . .                      | 40 |
| XIV პოეტი შილლერის სიყმაწვილე ახ. წერეთლისა. . . . .                      | 44 |
| XV ჰაერში ფრენა ებ. გ—სა . . . . .  | 53 |

მიიღება ხელის მოწერა

**1910 წლის**

**ჯეჯილზე**

# საუმაწვილო ნახატებიანი

## შურნალი

იზარდე მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ი. დ.

ნოემბერი, 1909

.. შელიცადი გეორგი ..

“ ფ ი ლ ი ს ი ”

ელიტრომბეჭდავი ამს. „შრომა“, რუსეთის ქართველი, № 3.

1909



1963-  
1970

# ტოროლა.

ამის მესრეს მემახიან —

არც დიდი ვარ, არც ჰატარა  
მარამ, რიურაუს ვენაცვალე  
მიუვარს... მიუვარს, მის კამარა.

როს ინათებს მტრედის ფერად

დას ვეწვევი სრიალ-ფრენით;  
ქებათ-ქებას ვწირავ ზენას  
სავსე გრძნობით, ღვთიურ ენით.

მართალია დამეც მიუვარს

და ვარსკვლავებ მოჭედილ,  
მასთან ერთათ ბადრი მთვარე  
მოქათქათი, შუქ გაშლილი.

მავრამ ტურფა გარიურაუს,

მიუვარს... მიუვარს... იმას ველი;

მე რომ ცაში გავერიალებ,

მირს უკრს მიგდებს სალხთასოფელი.

გ. ქუჩაშვილი.

|                   |
|-------------------|
| ს ა რ ა რ თ ვ ე ლ |
| პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ |
| ე რ ო ვ ნ უ ლ     |
| გ ი ბ ლ ი მ თ ვ   |

19906

# ବ୍ୟକ୍ତି ଓ ପରିଚୟ



ଶ

ଦିନାର୍ଜମି ଠିକ୍କାତ୍ତ୍ୱବ୍ୟକ୍ତି ଏହି  
ତି ଶାରୀରି ବ୍ୟଲିଙ୍ଗ ବ୍ୟକ୍ତି  
ତି. ଏହିକିମ୍ବା ବିଶ୍ୱାସ ମାତ୍ର  
ମାତ୍ରା, ଦାନିନାହା ଯାହାମିଥିଲୁ  
ରା ମନିନିଧିମା ମାତ୍ରାକି ଆଖି  
ଲା — ମହିମ, ମହିମ, ମହିମ  
ମହିମ, ଉତ୍ତରି ବ୍ୟଲିଙ୍ଗ ବ୍ୟକ୍ତି  
ମା,— ମହିମାନ ଅମିତାବାନ୍ଦୀ.

ମହିମ ଦାନିଧି ବ୍ୟଲିଙ୍ଗ

ବ୍ୟକ୍ତି, ଏହି ପାଦିକ୍ଷା ତଥା ଅନ୍ତକ୍ଷଳତ ରା ବ୍ୟକ୍ତି ଶ୍ରୀ  
ମାତ୍ରା, ମାତ୍ରା. ମାତ୍ରାକି ଏହିକିମ୍ବା ବ୍ୟକ୍ତି ବ୍ୟଲିଙ୍ଗ  
ବ୍ୟକ୍ତିବ୍ୟକ୍ତି.

ମାତ୍ରା ଫିଲାରୀ, ବ୍ୟଲିଙ୍ଗ ବ୍ୟକ୍ତିମା ମନିନିଧିମା ଶ୍ରୀମା  
ରାଧାକୃତ୍ତବ୍ୟକ୍ତି. ଶ୍ରୀମାକୃତ୍ତବ୍ୟକ୍ତି ଏହି ପାଦିକ୍ଷା ପାଦିକ୍ଷା  
କିମ୍ବା ପାଦିକ୍ଷା ମନିନିଧିମା ମନିନିଧିମା ଶ୍ରୀମା  
ବ୍ୟକ୍ତିବ୍ୟକ୍ତି.

ତିନାମ ପାଦିକ୍ଷା ଯାନ୍ତିକାମି, ଦାନିନାହା ରାଜାନାନ୍ତି ରା  
ନ୍ତିକାମି ବ୍ୟଲିଙ୍ଗ ବ୍ୟକ୍ତିବ୍ୟକ୍ତି ରା ଦାନିକାମି.

— ବ୍ୟକ୍ତିମି, ଦାନିକାମି, ବ୍ୟକ୍ତିମି?

## დარგაისელი გეღურა.



— ბები, ბებილო, სად და-  
ბიშპტოგენ ჩვენი ბეღურები, კი-  
თხულობდა ჰატარა სანდრო.

ბებია სახლის წინ აიგანზე გა-  
ვიდა. იქ მეორე შვილი-შვილე-  
ბი თეთრი ჰურის ნამცეცებს  
ჰურიდენ კიბის საფეხურებზე და  
გულ მოდგინეთ უძახდენ ბეღურებს, მაგრამ არც ამათ  
ასილზე არ გამოჩნდენ ბეღურები.

\* \* \*

მთელი ზაფხული უმაწვილებიც და დიდებიც აწო-  
ებდენ სახრდოს ბეღურებს — უერიდენ ნამცეცებს. ისინიც თამამად არა თუ ძირს კენკვდენ, თვით სუ-  
ფრაზე ასკუპდებოდენ. იმათ მძვენივრათ იცოდენ ჭა-  
ბის დრო. ოვეორც კი მოსამსახურე გამოჩნდებოდა  
აიგანზე საჭმელით, მამინვე იასამანის ბუჩქიდან მოი-  
სმოდა იმათი ჭროვინი.

მაგრამ დადგა თუ არა მარიამობისთვე, დილადი-  
ლობით დაიწეო სიცივე და წვიმები. აიგანზე აღარ  
იმროვებოდა საუზმები. ბეღურებს ეტეობოდათ შიოდათ.  
წელათ შოულობდენ სახრდოს. იარტეები ამაოდ  
ფართხალებდენ ფრთებს და აღებდენ ნისკარტს. მო-  
უცი ბეღურები თავს აქეთ იქით აწევეტდენ, მაგრამ

წევიძას ისე მიეფანტ-მოეფანტა ჭია-ღუები, რომ მათი ხსენება არსად იქო.

ერთხელ ამ ბეღურებთან მოფრინდა ერთი მოხუცი, დარბაისელი ბეღურა და თითქოს რაღასაც უამ-ბობდა თავისიანებს.

ეგელა ახალგაზრდა ბეღურები დიდი ურადღებით უსმენდენ, მერე ეს დარბაისელი აფრინდა და ჟელა თას გაჭევენ. ეს ცეო და ეს, ამას აქეთ ბეღურები ამ არე მარესე აღარა ჩანდენ.

\* \* \*

ერთხელ მშვენიერ შემოდგომის დილას ემაწვილებმა სთხოვეს ბებიას წაგვიუვანე გაღლოზე, სადაც სოფლის განაპირას ლეწავდენ ქერს ბებიამ აუსრულა თხოვნა და ემაწვილები წაიუვანა.

ბავშები გაიქცენ წინ და კალოზე, სწორეთ იმ ადგილას, სადაც ქერი ექარა ნახეს აუარება ბეღურუბი, რომელიც სარბათ კენგვდენ მარცვლებს.

და ემაწვილებმა ერთბაშად შეჭევირეს:

—ბები, ეს ხომ ჩვენი ბეღურები არიან, გასხოვის ერთი რომ მოვიდა და შენა თქვი ჭიკიანი ბეღურაა, რაღასაც რომ ეუბნებოდა ჩვენ ბეღურებს — უა-თუოდ იმას ეტეოდა, რომ აქ, კალოზე, ბეგრი მარცვლებია.

(თარგმანი)

ტასო.



# ტახი

(ჩიხური ზღაპარი)



დიდიხანია მას აქეთ ერთ  
ჩიხურ ქოხში სცხოვრობ-  
და მოხუცი ბებია თავისი  
შვილი-შვილით.

ერთხელ ბებია ტუეში წავიდა ფიჩის  
მოსატანათ. უქან რომ ბრუნდებოდა გზა-  
ზე დაინახა შაქრის ლერწამი, აიღო და  
სახქაროთ ჩასტენა ფიჩის კონაში, რომ  
მიეტანა სახლში და ამითი შვილი-შვილი  
გაეხარებინა. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა  
ვერც კი მოახწოო, რომ უცხათ საიდანლაც  
გახნდა დადი ტახი და წინ გადაეღობა.

— მამუცი შაქრის ლერწამის შტო, გზაზე რომ  
იძოვნე! დაუკირა ტახშა და ბრაზიანი თუბლებით მო-  
ხუცს შეხედა.

— ვერა, ვერ მოგცემ! — უპასუხა მოხუცმა: — ჩემი  
შვილი-შვილი დიდის ნიამოვნებით სწუწნის ხოლმე  
შაქრის ლერწამს და მინდა იმას უთუოთ საუვარელი  
საჭმელი მიუტანო... შენ თითონ მოიფიქრე, ჩვენ ხან-  
ში განა ადვილია დაღუნვა ძირს და აღება, მეტადოვა  
მაშინ, როდესაც ზურგზე ამისთანა მმიმე ტვირთი



ბყიდებული მაქს. მე მაინც დავიღუნე, რომ ბავშვს ვასიამოვნო.

— ძაძ, შენ ბებია, უარს მეუბნები და ლერწამს არ მაძლევ?

— დიალაც არ მოგცემ.

— კარგი, იცოდე, რომ შენ შეილი-შეილს სიკე-  
თე არ დაეკრება... მე ამაღამ ქოხში შემოგივარდები  
და ბავშვს ნაკურწნაკურწათ გაქცევ.

მოხუცს უხდოდა რილასიც თქმა, მაგრამ ტახი  
უცხათ გაჲქრა. როგორც კი სახლში მოვიდა, მოხუ-  
ცმა მძიმე ტვირთი ზურგიდამ მოიხსნა და საძინელი  
ტირილი მორთო: შეილი-შეილი ეცოდებოდა... მო-  
ხუცი ბევრსა ცდილობდა გამოევონა რაიმე სამუშავ-  
ბა, რომ ბავშვი განსაცდელისაგან დაეხსნა, მაგრამ  
ვერაფერს გერ ახერხებდა.

— ბებია, რა გატირებს? მოესმა ვიღასიც ხმა ქუ-  
ჩიდამ. მოსუცმა სარკმელისაკენ მიიხედა და თავისი  
ნაცხობი მეწვრილმანე დაინახა. მოხუცმა თავისი თავ-  
გადასავალი მოკლეთ უამბო.

მეწვრილმანემ თანაგრძობით თავი გაიქნია.

— ვერაფრის ძველა გერ მემიძლია, — უპასუხა მე-  
წვრილმანემ და, უთუდა, უნდოდა ნუგემი ეცდ მოხუ-  
ცისთვის, ამოიდო და ერთი თოფი ნემსი აჩუქა. მო-  
ხუცმა კეთილ მეწვრილმანეს ძადლობა ვაღუხადა და  
მთელი თოფი ნემსი დაასო კარგის ქვემო ნაწილს.  
დაჯდა და ისევ ტირილი მორთო.

— ბებია, აგრე მწარეთ რად სტირი? — ჭკითხა ქუ-  
ჩაში მიძაგალმა კიბოს გამჟიდველმა.

მოხუცმა თავის მწუხარება ამხსაც უბმბო.

— რა საძინელი ამბავია! — უბასუხა კიბოს ვა-  
ჭარმა: მინდა გიმველო რამე, მაგრამ ვერაფერი ვერ  
მომიხერხებია.

ამ სიტუაციით გაჭარი გამოისალმა მოხუცს და  
როდესაც ქოხიდამ ვამოდიოდა, ნება სთხოვა, ნახე-  
ვარი თავისი კიბოებისა დაეტოვებინა მისთვის. მო-  
ხუცმა თანხმობის ნიშნათ თავი დაუქნია და კალათი-  
დამ კიბოები ქვაბში გადააწუო, წეალი დასსა და  
ქვაბი კარგბში ჩადგა და მერე ხელახლად ტირილი  
მორთო.

— ბებია, რა დაგემაროა, რად სტირი? — ჭკითხა  
მოხუცს ერთმა ახალგაზრდა გლეხმა, რომელიც რქებ-  
ზე თოკმობმულ მოზვერს მიათრევდა.

— როგორ თუ რა მატირებს! — სთქვა ბებიამ და  
თავისი ამბავი დაწერილებით უამბო.

— ამაღამ ამ მოზვერს აქ დაგიტოვებ; როდესაც  
ტახი მოვა, მარტოვა მაინც არ იქნები.

მოხუცმა ხარი ქოხში შეიღვანა, საწოლთან მია-  
ბა, თივა დაუუარა და ისევ მოწევილი ჩამოჯდა სარ-  
კმელთან.

— ბებია, ნუ სტირი! მოეხმა პატარა ბიჭის მხი-  
არელი ხმა ქუჩიდამ: — უთუოთ ის ტახი, რომელიც  
შენ შეგ ხვდა — უბრალო მხეცი კი არ იყო, უინმე ავი

სული იქნებოდა. ცოტებლით გერაფერს გააწეობ, იმას-თან ბრძოლა მნელია, მეც კი გერ შევძლებ, აი თუ გინდა დაიტოვე ეს ამერიკული ნიანგი, რომელიც დიდ ხვლიკს მიეგვანება, ეს არის ეხლა დავიჟირე, უნი იცის, იქნება რითიმე დაგეხმაროს.

ბავშვის სიტყვებმა მოხუცი მაღიან ანუგება, არ უნდოდა ეწენინებინა და საჩუქარი მიიღო, თუმცა ფიქრობდა, რომ არაფერს უშველიდა.

ტიროდა, ტიროდა და ტიროდა საწეალი მოხუცი, სანამ იმის ქახის წინ ორი კაცი არ შედგა: ერთი საფეხვი ქვის გამუიდველი იქო და მეორე ჭის მთხრელი. ბებიამ მოხმო ისინი და თავისი შიში და მწუხარება გაუზიარა, პირველმა თანხვრმნობის ნიშნათ უვალაზე მოზრდილი წისქვილის ქვა აჩუქა, მეორემ კი სთხოვა ნება, ჭახ მუქთათ ამოგითხრიო და მაშინათვე მუშაობას მეუდგა. ჭა იმ დღესვე მზათ იქო.

ბანდისას მოხუცი იმისთანა შიშმა აიტანა, რომ ქოხში შესვლას გერ ბედავდა და როდესაც დაინახა ქაღალდის გამუიდვი, რომელიც თავის დუქნიდამ სახლში მიდიოდა, ხვეწნა დაუწეო: ჩემთან დარჩიო და ტახის დაცემისაგან დამისენიო.

— არ მემიძლია, — უპასუხა ვაჭარმა, — სახლში მეჩქარება.

წასვლისას ბებერ დედაკაცს, თითონაც არ იცოდა რისთვის, მისცა ერთი დიდი ფურცელი ქაღალდი და მიაძახა:

— აქმა, აიღე, აიღე ეს ქაღალდი — მვირფასია.

— რათ მინდა, იფიქრა ბებერმა და ქაღალდი ჭა-  
მი უნდოდა ჩაეგდო, ჭისაკენ გადაისროლა, ქაღალდი  
გადიშალა და ჭამი ჩავარდნის მაგივრათ — ზედ ჭას გა-  
დაეფარა.

სულ დადამდა. ბებერი მაღაუნებლივ ქოხში შე-  
ვიდა. საცოდავი მოხუცი კანკალმა აიტანა. დიდხანს  
ფიქრობდა, ოოკორ დაუცვა თავისი საუცხარელი შვი-  
ლი-შვილი. შიგნიდამ კარები მაგრად გადარაზა და  
დიდი ლოდები მიადო. მერე ბაჟშვი დააძინა და თი-  
თონ საწოლზე ჩამოჯდა და სამინელ სტუმარს მოუ-  
ლოდა. სწორედ დამის თორმეტს საათზე კარებს მო-  
ადგა ტახი და მგვრევა დაუწეო. რამდენიც უფრო  
კარებს აწვებოდა, ნემსები უფრო ღრმად და ღრმად  
ესობოდნენ კანში და ჩხვლეტდნენ ისე, რომ სიმწა-  
რით საცოდავად ღრიალებდა. ბევრი ბრძოლის შემ-  
დეგ კარებმა კურარ გაუძლო და შეამტკრია, ტახი  
ქოხში შევარდა დარალული და დაქანცული.

კარებს უკან ქვაბი დაინახა, ეგონა რომ ამ დიდ  
ქვაბში წეალია და რადგან მეტის ბრძოლით მალიან  
მოსწურდა, დაეწაფა. როგორც კი პირი ჩაჰურ ქვაბ-  
ში. კიბოები დაესივნენ ენაზე, ცხვირზე, ტუჩებზე და  
უურებზე კბენა დაუწეუს. გაბრაზებული ტახი სიმწა-  
რით იატაკზე დაეცა და გორაობა დაიწეო. მაგრამ  
აქაც ბედმა უმტკრენა, მოზევერი. რომელიც საწოლთან  
იერ მიბმული, დაეტაკა, რჩოლა დაუწეო და სულ

გვერდები დაუზილა. ნიანგი კისერზე შეახცა, სისხლის წოდები დაუწეო. გამწარებული ტახი ქოხიდამ გრძოვარდა.

— მე ასე დღვილათ არ მოვითმენ ამოდენა შეურაცხეოფას, ევიროდა გაბრაზებული ტახი. თუმცა სამინელ ტეივილებს გრძნობდა, მაგრამ გადასწუვიტა, რომ ტექში არ წავა, სანამ ამ შეურაცხეოფისთვის სამაგიეროს არ გადაუხდის

შემინებული აქეთ იქით იუურებოდა და როდებაც ჭის პირას თეთრი გამლილი ქაღალდი დაინახა — გადასწუვიტა — წამოწოლილი და, დაესვენა, მალებონე მოეკრიფა და მერე სამაგიერო გადაეხადა. როგორც ჭი ქაღალდზე უეხი დადგა ქაღალდი გაიხა და ტახი თავდაუირა ჭიძი ჩაგრადა.

ბებია სისარულით აღარ იყო. ის სარკმლიდამ თვალს ადგენებდა და როცა დაინახა რომ ტახი ჭიძი ჩავარდა საჩქაროდ კარში გამოვარდა და ჭის საფეხავის ქვა დახდო, ასე სამუდამოდ ბებიამ თავისი შეიღის-შეიღილი სამინელ მტრისაგან გადაარჩინა.

— არ მეგონა, ფიქრობდა ბებია, რომ ამისთვის უმნიშვნელო და უბრალო საგანი, როგორც ერთი ფურცელი ქაღალდია, ამისთვის სიკეთეს მიზამდა და სამუდამოთ ჩემ შეიღილიშვილს დაღუპუსისაგან გადაარჩენდა, ხოქვა ბებიამ და დამშვიდებული ქოხში მოსასვენებლათ შევიდა.

(თარგმანი)

ეკ. გესხი.

# გულ-კეთილი ექიმი.

(ფუძლვნი ივ. გომართვლს)



ბატარა შალვას, მინამ მამა ცოცხალი ჰქეავდა, არ მოჰქლებდა საჭმელ-სასმელი და კარგად მოვლა. მამა მისი მუშაობდა ქალაქის ერთ-ერთ ქარხანაში. იგი დიდი ერთ-გული იუო ცოლ-შეილისა; შალვას და დედა მისს მუდაშ კარგ ტან-საცმლით შოსავდა. რომ დასცლოდა და და არ მომკედარიუო, შალვას ნასწავლ კაცად გამოზრდიდა. მაგრამ,— «საწეალ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო», — ნათქვამია და ერთ დღეს შალვას მამა ბაზათ გახდა და ავათმუოფობაშ თან გადიგანა. დარჩენენ შალვა და დედა მისი ღვთის ანაბარა; ცისა და დედა-მიწის მეტი მათი შშველელი და დამხმარე არავინ იუო. კიდევ კარგი, რომ თავ-შესაფარი მაინც გააჩნდათ; შალვას მამამ სიცოცხლეშივე ააშენა ქალაქის განაპირ ადგილას ერთი მეტად ღარიბული, ქოხის მზგავსი, ერთათ-ერთი ნუგეში ამ ორ ობოლ ადამიანებისა.

შირველ ხანებში ნათესავები და მეგობრები უწევდენ მათ დახმარებას. მაგრამ მათი ნათესავები და მე-



გობრები უკელანი მათსავით დარიბები იუპნენ. ამი-  
ტომ ცოტა ხნის შემდეგ მათაც ხელი აიღეს, უერ  
შესძლება დახმარების გაწევა, მალვას დედაც ასეთ და-  
ხმარების წინააღმდეგი იქო. მას ერჩია საკუთარ მუშაო-  
ბით ესაზრდოებია შვილი, გამოეზარდა იგი.

— მე მიგმცი ჩემს ქმარს ჰირობა, რომ გამოვ-  
ჭარდო შალვა, შევასწივლო წერა-კითხვა, ამიტომ უნდა  
თვითონ ვიმუშაო; ვეცდები შვილს არ მოვაკლო საჭ-  
მელ-სასმელი, ტან-საჩამელი, — იტუოდა იგი თავის-  
თვის ჩუმად და გახედავდა შალვას, რომელიც ამ დროს  
მეზობლის ბაგშეებთან თავს ირთობდა თამაშობით.  
დედა დიდ-ხანს უუურებდა შვილს, მის თამაშს, ცელ-  
ქობას და გულში იმედი და სისარული გაურბნებდა.

— ეს არის ჩემი ერთათ კრთი ნუგეში, ჩემი სა-  
სახელო შალვა. ქრის ჰატიონსან სახელს არ შევარ-  
ცხვენ და შალვას როგორმე სასახლო კაცად გამო-  
ჭრდი. უგელაფერს ავიტან: სიცივეს, მიმშილს, დამ-  
ცირებას მისს სასიკეთოდ, — იტუოდა იგი თავის-თვის  
და იმედებით გამსჭვალული გამობრუნდებოდა ოთახ-  
ში, რომ მუშაობა განევრძო.

მისს სამუშაოს შეადგენდა მრეცხაობა. შალვას  
დედა არ იუო ჩემული ამ სამუშაოს, მაგრამ გაჭირ-  
ვებამ, შვილის სიუვარულმა, მას ამ გასაჭირ, მაგრამ  
ჰატიონურ საქმისათვის მოაკიდებინეს ხელი.

— ჯერ კიდევ ახალ-გაზრდა ვარ და მინამ ჯანი  
და ღონე შემწევს ვიმუშავებ, შემდეგ-კი ღმერთია მო-

წეალეა, შვილიც წამომეზრდება,—ამბობდა შალვას დედა და განეგრძობდა შუებითად მუშაობას. თავის მუეაი-თურ მუშაობით თავს კარგად ირჩენდა, შვილსკი ჯერ არც-კი დაჩნევია უმამობა. შეზობლები გაკვირვებული იუნენ, მაგრამ ვინც შალვას დედას ახლო იცნობდა, იგი იტყოდა:—მუეაითი ქალი, ჯან-ფონით სავსეა და გულ-გაუტეხელად მუშაობსო.

\* \*

— შპელანი გააკვირეა წლეჭანდელმა ზამთარმა.

— ამდენი ხანი გვიცხოვრია, ამდენი სხვა და სხვა გვარი სუსტიანი ზამთარი გამოგვივლია, მაგრამ წელს რომ ზამთარია, ასეთი ზამთრის მომსწრე არა ვართ, ასეთი სუსტიანი ზამთარი ჯერ არ გვიგემნიავო,— იტყოდნენ ხანში შესულნი, მოხუცნი. არც ერთს არ უკვირდა, რომ ავადმეუფობა ასეთი გაგრცელებული იყო. ცივ ზამთარს სდებდენ ბრძლას.

ზამთრის დასაწეისში შალვას დედას სისუსტე და-მტეო, მაგრამ იგი ამას უურადღებას არ აქცევდა და, რა-კი მოსალოდნელი იუო ცივი სუსტიანი ზამთარი, მველებურზე უფრო მუეაითად მუშაობდა, რომ ზამ-თარს მოშაადებული შესვეროდა. შემა იუიდა, შალვა შემოსა და თავისთვისაც სათბური ტან-საცმელი იშო-გა. თან და თან სისუსტეს გრძნობდა, მაგრამ თავს მაინც არ უტევდებოდა, ეგონა გაუკლიდა სისუსტე. ერთ დღეს დილიდანვე ცუდათ იგრძიო თავი. დააპი-რდ ადგომა, მაგრამ ვერ შესძლო. თან სწუხდა, თან



კიდევ გული მოსდოოდა. უფრო კი ის უკლავდა გულს, რომ მისი ძალვა ამ დილით უსმელ-უჭმელი რჩებოდა.

— შვილო მალიკო, გასწი შენ გაზრდას და უკუჭოს დამიძახე, მე ავთა ვარ, ვერ შეგძლი ადგომა, — უთხრა ქვესით დედამ.

— ნუ შეგემინდება, დედა, მალე ისევ კარგად იქნები, მე ეხლავ მოვიუვან ფეფოს, — სთქვა ცოცხლად მალგამ და გასწია.

მალვა ვერ შეაშინა დედის ავად-მეოფლამ. იმის გულ-უბრევილო არსებობას ვერ წარმოედგინა, თუ დედა ამ ავად-მეოფლამ შეიძლება მას გამოასალმოს და დარჩეს სრულიად უდედ-მამოთ, უპატრონოდ. მას ავად-მეოფლა სტუმარი ეგონა, სტუმარი ისეთი, რომ მელიც როგორც მოსულა ისევე წაჟა და არა ისეთი, რომელიც დედა მისია თან წაიუვანს და მას მარტო დასტოვებს.

ფეფო და მალგა მალე მოვიდნენ.

— რამ შეგაშინა მე ქალო, განა შენს მეტი არავინ უოფილა ავად? მალე კარგად იქნები, მორჩები, — ანუგემებდა ფეფო თან საბანს უსწორებდა, რომ ავად მეოფლს არ შესცივნოდა.

ფეფომ ეველაფერი რიგზე მოიუვანა: მიალავა თანა, მალვა თავისთან, წაიუვანა, საჭმელი აჭამა და ცოტი რძეც გამოატანა ავადმეოფ დედისათვის.

მალგა გახარებული დაბრუნდა მინ, მიაწოდა ავად მეოფლი დედას რძე და მიეფერა, მოესაფეარლა. მთელი

დღე თავს ეცლებოდა, კოცნიდა, უცლიდა და ანუგე  
შებდა. მალევა არაფრთხ აკრებდა დედის ავადმუოფო  
ბაჲ და ამიტომ არც-კი შეჭმინებია. მაგრამ დედა მისი  
თანდათან სუსტდებოდა; სადამო დროს-კი უფრო უა-  
რესათ შეიქნა. დედის კვნესა, დედის წესილი ეხლა-კი  
მალევას ლრმად აუიქრებდა. ბავშვს თვალები ცრემლით  
ეჭვბოდა და გული უკვდებოდა დედის ავადმუოფობით,  
დედის კვნესით. იგი ხან კოცნიდა, ეფერებოდა და  
ანუგეშებდა დედას, ხან გული ამოუკდებოდა და თვალ-  
ში ცრემლი მოერევოდა. ამ დროს იგი გავიდოდა გა-  
რედ, რომ დედისთვის არ დაენახუებია ცრემლები, და  
ტირილით გულს მოიჯერებდა.


\* \*

ამ ქალაქში ექიმები საკმაოდ მოიპოვებოდენ, მა-  
გრამ უკელას ერჩია ექიმი ვანო.

— გამოცდილი, დაკვირვებული და გულაკეთილი  
ექიმი არისო,—ამბობდენ იმის შესახებ და უძახდენ უბ-  
რალო სახელს „ჩვენი ვანო“. ექიმი ვანო უკელას ამხა-  
ნავად სივლიდა ხასწავლისაც და უსწავლელისაც და, რამ-  
დენიც შეძლება ჭრონდა, უკელას ესმარებოდა. უფროსავი  
დარიბებს, პირიქით თითონ ვე აძლევდა შემწეობას; ღა-  
რიბებისაგან გასამრჯელოს არას დროს არ აიღებდა.

ეს ექიმი კარგად ახსოვდა შალვას. ერთხელ შალ-  
ვა მამა მისმა ამ ექიმთან წაიუვანა. შალვას ექიმის  
დარიგება და ტკბილი სიტუაციი იმ დღიდან უკველ-  
თვის ახსოვდა და, როდესაც გაივლიდა იმ ექიმის

2



სახლთან, თითხ გაიშერდა და სიხარულით იტეოდა: — იმ სახლში ჩვენი ვანო ექიმი ცხოვრობსო.

შალვამ გადასწევიტა წასულიერ ექიმ ვანოსთან. რადგან დედა მისი ძალზე შეწუხდა, თორემ აქამდის არ უნდოდა ექიმის შეწუხება. — ის თუ მოარჩენს დედა ჩემს, თორემ სხვა გზა არ არისთ, — ფიქრობდა შალვა და თან ცრემლით ხავსე თვალებს იწმენდდა.

კარგა შეღამებული იყო. ფარნები ქუჩებში გაეჩაღებიათ. თოვდა გამუდმებით; თოვლის ფიფქები შალვას ცხვირ-პირზე ჟევმოდენ და თვალებს უბნელებდენ: ცხვირი, უურები და ხელები გალურჯებოდენ. შალვა ჩქარი ნაბიჯით მიღიოდა და დრო გამოშევით ნატორალ თვალებს იწმენდდა. უცბად შალვას წამოუწია ეტლი, რომელმიაც იჯდა ექიმი ვანო. მემტლებ სწრაფათ შეაჩერა ეტლი.

— რა გატირებს, ჰატარა ბავშო, — შეეკითხა ექიმი შალვას.

შალვას ცრემლები წასქდა, მაგრამ ეს ცრემლები სიხარულის ცრემლები იყო. ის ახტა ეტლში, დაქმნო ექიმის მუხლებთან და დაუწეო კოცნა. ექიმმა ააეცნა და კითხვა გაუშეორა.

— დედა მეავს ძლიერ ავად, ჩემო ბატონო, — უნასუსა შალვამ.

— მერე ეგ რა სატირალია; წამო, გამიძევ სახლში, — უთხრა ექიმმა, მოისვა გვერდით და ორ წუთში ავადმეოვთან გაჩნდენ.



შალვას დედამ ქქიმი, ოოძელიც მას სინჯავდა,  
ეს იცნო, მაგრამ შალვამ ჩასჩურჩულა უურში: — ეს  
ქქიმი ვანოა, ჩვენი მწეალობელი, საუფარელი ექიმიო.

ექიმმა გასინჯა ავადმეოფი და გამოუწერა წამალი.

— მენ ზატარავ, მიიტანე ეს აფთიაქში და წა-  
მლს მოგცემენ, ეს ფული წამალსაც გიუიდით და  
ცოტა ხანს საზრდოობას გეეოფათ, შემდეგ კიდევ შე-  
მოვივლი, — უთხრა ექიმმა შალვას და გადასცა რეცეპტ.  
ტი და ერთი ხუთ მანეთიანი.

შალვამ და დედა მისმა დიდი მადლობა უთხრეს.  
ამის შემდეგ შალვას იძედი მიეცა დედის მორჩენისა.

— ნუ გეშინია დედა, ის ისეთი გულაკეთილი  
ექიმია, ოომ უსათუოთ მოგარჩენს, ოდონდ დალიე  
ეს წამალი, ჩემო კარგო დედავ, — ეუბნებოდა შალვა  
და აწოდებდა დედას წამალს.

ლადო გეგშეკორი.



# მაწანწალა ბიჭები.

(გიჭირ ჭიშტასი)



რთხელ ლიუქსენბურგის ბაღში შევიდა ორი ჰატარა ეძარვილი ხელის ხელ დაჭერილინდა. ერთი ბიჭი იქნებოდა შვიდი წლისა, მეორე—მქონესა. ესენი სულ მცირ მხარეს დადიოდენ ბაღში, რადგინ წვიმისაგან მალიან გაწუწულნი იუგნ. უმცროსს მიჰყავდა უმცროსი. ემაწვილები ფერ მიხდილნი ძონძებში იუჯენ გახვეულნი და გამოიუშრებოდენ შიშით,—თოფ-ნაკრავივით.

უმცროსი სულ გაიძახოდა:— მშიან, მშიან!

უმცროსს ემაწვილს, როგორც მმის მფარაველს, მარცხენა ხელით მაგრათ ეჭირა მმა, მარჯვენა ხელში კი ჯოხი ეგბაზ.

წინა დამეს ეწვიმა, დილითაც წვიმდა. მთელი დღე ავდარი იუო, მაგრამ კათათვები წვიმები ხანგრძლივი არ იყოს. ერთი საათის შემდეგ ჭექა-ქუჩილისა, კერც კი შეატეობთ, რომ მშვენიერი კამპაში მზიანი დღე წვიმით გათვენდა. ჭაფხულში, ნიაღვრის

ჟმდებ, მიწა ისე მაღე შრება, ოოგორც ბავშის ლო-  
ები ძრიელი ცრემლის შემდებ...

ეს მოხეტიალე, ძაწანწალა ბიჭები მიუახლოვდენ დიდ  
აუზს და ცდილობდენ ამოჭიარებოდენ გეღების ბინას.

თიქქმის ამავე დროს აუზს ძიუახლოვდენ თრია  
სხვები. ერთი იუო ძიდორულათ ჩაცმული თრმოცდა-  
ათი წლის კაცი, ამას ხელი ეჭირა ეჭვი წლის  
მორთულ ბავშისა. ეტეობოდათ, მამა-შვილნი უნდა  
უფილიერებენ. ამ ეჭვი წლის ბავშს ხელში ეჭირა  
ემბა ქადის ნაჭერი.

მონძებში გახვეულნი თრიგე ბიჭები პირდაღებუ-  
ლები უუურებდენ მათთან მიმავალ პატარა ბატონს და  
თან უფრო და უფრო იმალებოდენ.

მამა-შვილი აუზის წინ შედგენ ამ აუზის დამ-  
ჟენებელი იუო თრი გედი. ბატონს ეტეობოდა ძა-  
ლიან მოსწონდა გედები და მათი ცქერით აღტაცებაში  
მოდიოდა. თთქოს უნდოდა კიდეც მიჭვანებოდა გა-  
ღებს ისე მაღლა, მედიდურათ აეწია თავი, ამჟარტავ-  
ნულათ გაიუურებოდა და ცდილობდა მისვრა-მოსვრით  
მიებამნა მათთვის.

ორიგე გედი ცურავდენ თვალწარმტაცი სილამა-  
ზით, ამათი ხელოვნური მოძრაობა მშვენიურების დამ-  
სტევნელი იუო. მათი ნაზი, ნარნარი ცურაობა გაგრძე-  
ლებული კისრით სწორეთ შესანიშნავი იუო

პატარა ბატონი-შვილმა მოყბიჩ ქადა, მაგრამ მა-  
ნისე გამოაგდო პირიდან და მოჭევა ტირილს:

- რას ტირი? ჰყითხა მამამ.  
 — ადარ მინდა, გავძები, — უბასუხა ბავშვა.  
 — ქადა ხომ ტკბილია...  
 — მომბეჭრდა. ფაშარია.  
 — მამ ადარ გინდა მაგის ჭამა?  
 — არა.  
 — გადუგდე გედებს.  
 ბავშვი უოუმანობდა. ქადა ადარ უნდოდა, მაგრამ სხვისთვის მიცემაც ენანებოდა.  
 მამამ ხელახლათ უოხრა:  
 — როგორ შეიძლება, უნდა მოწეალე იქო, გადოდებოდეს პირუტყვები.  
 გამოართვა მამამ ქადა ბავშვს და აუზში გადასროლა.

ქადა აუზის ნაპირას ჩავარდა.

— ასლა წავიდეთ სახლში, უთხრა მამამ.  
 ერთი თვალის დახამხამებაზე ქადისგან გაეშურენ გედებიც და ორი პატარა ძაწანწალა ბიჭიც. ქადის ნაჭერი წეალზე ქანაობდა. უმფროსი ბიჭი სარიათ შესცემოდა ქადის ნაჭერს, უმფროსი კი თვალს აღეჭნებდა გაბრუნებულ მამა-შვილს.

ცმათ შეუხვიეს სეივანს და სშირ სეებ შორის მიღმალენ.

უმფროსმა ბიჭმა რაყი გაიგულა ისინი, მაშინვე აუზის გალავანზე გაწვა, მარცხენა ხელით დაებჯინა გალავანს, დაიღუნა ისე, რომ შესაძლო იქო, უოველ

## მაწანწალა ბიჭები

წამს ჩავარდნილიერ წეალძი და მარჯვენა ხელით  
ჯოხი გააწვდინა ქადისკენ. გედებმა ოომ დაინახეს  
მტერი აშფოთდენ, ისინიც საჩქაროთ წამოვიდენ ქა-  
დის დასაწერათ. ამათი წეალობით წეალი გაიპო,  
გაიმალა და ქადა წამოვიდა უმაწვილის ჯოხისაკენ;  
სანამ გედები მოსცურდებოდენ, ჯოხი მოედო ქადას.  
უმაწვილმა მარჯვეთ წამოათრია თავისი ჯოხით ქადა.  
მერე მოიგერა გედები, მოიტაცა საჩქაროთ დავლა და  
წამოდგა უეხზე.

ქადა დასველებული იყო, მაგრამ უმაწვილებს არა  
თუ შიოდათ, სწუუროდათ კიდეც. უმფროსმა მმამ გა-  
დარესა ქადა. პატარა ნაწერი თავისთვის აიღო და  
დიდი მისცა პატარა მმას და უთხრა:

— აბა, მალე ჭამე!

ტასო



# მანქანების შესანიშნავი გამომგონი

უ ۳ ც ۴ ۰.



ს ორმოც და ათი წლის წინეთ  
 სცხოვრობდა ერთი მანქანების შეს-  
 ნიშნავი გამომგონი—უატტი. ის იყო  
 უბრალო მუშის შვილი. ჯერ კიდევ  
 სულ ბავშვი იყო, რომ საშინლათ  
 უევარდა კითხვა და წიგნებში აღწე-  
 რილი ამბების გამოცდა. აგრეთვე  
 უევარდა მამის ცქერა, როგორ მუ-  
 შაობდა იგი სახელოსნოში. აკვირდე-  
 ბოდა ეველაფერს: რა ხდება სახლში,  
 სახლს გარეო, ეზოში, ტემში, ძინ-  
 ღორში, მაგრამ განსაკუთრებით მე-  
 ტად უევარდა წაკითხულ წიგნებზე  
 ფიქრი, სადაც აღწერა იყო გარსკელავებისა, რომელ-  
 ნიც ბრძევინავდენ ცის კამარაზე, ღრუბლებისა, ელ-  
 ვისა, ორთქლისა, რომელიც ადის მხრე, როდესაც  
 წეალი ღუდს.

დედა მისი ამბობდა, რომ ერთხელ ბავშვი თით-  
 ქმის საათზე მეტს უეურებდა ჟავადანს, რომლითაც  
 წეალს ცეცხლზე ადევნებდენ, მერე ისეთი ურიადდე-  
 ბით, თითქოს რაღაც სასწაული ხდებაო. დედამ რო

შემჩნია ეს — შეწუხდა, ხომ არა ფერი ცუდი არ ემართება ჩემ შეიღლსო.

— რამ ჩაგრაფიქრა აგრე; ჰკითხსა მან შეიღლს, — აგერ მთელი საათია მაგას შესცემისარ და პრას აკეთებ. გასძრი სელი, გააკეთე რამე.

რაზედ ფიქრობდა მაშინ უატტი? ის ხედავდა რომ ერადანის სახურავს აწვებოდა ორთქლი და ამის ვამო სახურავი მაღლა იწეოდა, სტუნავდა. მაშასადამე როდესაც შეგროვდება ორთქლი და ვამოსავბლი არა აქვს, დაზვება სახურავს და სახურავი ავარდება მაღლა. გამოვა ორთქლი თუ არა — სახურავი ისევ თავის ადგილზე დადგება. კიდევ მოგროვდება ორთქლი — სახურავი კიდევ დაიწევის სტუნგას: ტუპ, ტუპ!

და ასე გასტანს, სანამ ცეცხლი არ ჩაქრება და ეავადანში წეალი არ გამოილება. ბეგოს წინადაც ენასა ეს მოვლენა, მაგრამ უურადღება კი არავის მიუქცევია. — ამ მოვლენამ უატტი დააფიქრა. ეავადანში, ფიქრობდა იგი, ცოტა ორთქლიც რო არი მაინც ეს მცირედი მაღა სწევს სახურავს. დიდი ქაბი რომ ავიღოთ — ორთქლიც მეტი იქნება და მაშინ ეს ორთქლი ასწევს უფრო მძიმე საგნებს. ქაბის სახურავს რომ რკინის მავთული მივამაგროთ ორთქლი სახურავსაც და ამ მავთულსაც ასწევს. მერე ეს მავთული რომ ბორბლებს მივამაგროთ, — ორთქლი ასწევდა სახურავს, სახურავი ამ რკინის მავთულს და ეს მავთული დაატრიიალებდა ბორბლებსა, ეს ბორბლები



კი ოთმ რელსებზე დავაუენოთ, მაშინ ხომ ეს ქვაბი თვითონ ამომრავდება უცხენოთ მიწაზე და უიალქნებოთ წეალზე. და ამნაირი ოცნებები იტაცებდენ ბავშვს. ის ფიქრობდა—თუ როგორ დაიმორჩილებს და თავის ნებით როგორ ამოქმედებს ამ მაღას. ხომ იმორჩილებგნ ცხებს, აქლებს, ხარს, ირებს, სპილოს. ადამიანმა ხომ დაიმორჩილა ქარიც და აამუშავებინა ქარის წისქვილის ფრთები და იალქნიანი ნაგები. ხომ ადამიანმავე დაიმორჩილა და აატრაალებინა წისქვილის ბორბლები და უატტი თეხნებობდა იმაზე, თუ როგორ თრთქლის ძალით შესაძლოთ შეიქნებოდა პურის დაფქვა, ფიცრების დახერხვა, ქსოვა და როგორ თრთქლის შემწეობით გაადვილდებოდა და გაიაფთებოდა მოგზაურობა ხმელეთზე და ჭდვაზე.


როდესაც უატტი დაგაუკაცდა ბეგრი თავისი ოცნებები სინაძვილეეთ გადაექცა. მართალია უატტის წინეთაც ცდილობდენ გაეკეთებინათ თრთქლის შემწეობით მომუშავე მანქანა, მაგრამ უატტის გამოგონებული მანქანა უფრო უკეთესი და გამმლე იყო და უფრო ადვილათ გამოსაუენი.

ეს საქმე აგრე ადვილი ან იყო, ბეგრი ჭირ გარამი გამოიარა, უკანასკნელ პერანგს იცლიდა ტანიდან, რომ ფული მოეხმარა სხვა და სხვა გამოცდაზე. დიდი დაკვირვება და ფიქრი სჭირდებოდა უოველ ბურღოს, ერველ ლურსმნის ჩარჭობას მანქანაში.

სამაგიუროთ გაცობრიობამ დაბაჯასა მისი შრომა

და ღვაწლი და სოვლის მას საუკეთესო ქვილათ.  
 მისი სახელი უძღვდავათ დარჩება: მასზე სწერენ წიგ-  
 ნებმი, მასზედ უამბობენ სკოლებმი, მისი სახელი  
 უველვან გაისმის, საცა კი სწავლა-განათლებაა შემო-  
 ღებული.

5.



## მაიმუნი დიდად ყმაყოფილია.\*)



აიმუნმა მალიან იცის ადამიანის მიბავშა.  
ერთხელ მაიმუნმა დაინახა, რომ კაცი თევზა-  
ობდა. იმ კაცმა დაიჰირა ბეგრი თევზი, გაა-  
თავა თევზაობა, ან კესი და ჯოხი დატოვა მდინარის  
ნაპირას და სახლში წავიდა. მაიმუნმა წახედა ამ კაცს  
თევზაობაში და იმანაც ჩააგდო ან კესი წეალში. რო-  
ცა ან კესი ამოიღო დაინახა, რომ ან კესს ამოჰევა  
ქუდი. ქუდი დაიხურა, მერმე კიდევ ჩაბგდო ან კესი  
წეალში. მეორეთ რომ ან კესი ამოიღო, ან კესს ეკიდა  
ჰალტო. ჰალტო მოიხურა და ან კესი ისევ ჩააგდო  
წეალში. მესამეთ ამოჰევა ქოლგა. მაიმუნმა გაძალა  
ქოლგა. და ასე მეტად კმაყოფილი მორთული წავიდა  
სახლში.

ხონის პროგიმნაზიის უფროს განყოფილების მოწაფე:

შოთა ნიკოლაძე.

\*) ვბეჭდავთ ამ ამბავსა, როგორც საუკეთესოთ დაწერილს და და-  
ვირებულ საჩუქარს ვუგზავნით.

ნაცალია გამუნია-ქავარლის 30 წლის იუბილე.

**00** ეატრი—ტაძარია ხელოვნებისაო, ამბობენ და ხალხი აღტაცებით მიიღოვის ამ ტაძარში, სადაც ის ჰპოებს საუკეთესო გასართობს და სულის და გულის დასაკმაყოფილებელ საზრდოს. ამისათვის ყოველი განათლებული ქვეყანა, ყოველი უეგნებული ერი იგებს თეატრს და რამდენადაც კი შესაძლებელია იმისთვის საუკეთესოდ აწყობს თეატრის საჭმეს: იმის გასამშვენიერებლათ აუარებელ ფულს ხარჯავს და მასში წარმოდგენების საუკეთესოდ მოწყობას დიდს შრომას და მეცადინეობას ანდომებს.

თეატრის სულის ჩიმდგმელნი და მისი გავლენის ძლიერების მიმღებნი კი მსახიობნი (არტისტები) არიან.

ქართული თეატრიც, რაც ჩენ პატარა და ლარიბერს შეეფერება ლამაზია თავისის გარეგნობით და რიგადნად არის მასშიც წარმოდგენები მოწყობილი.

ოცდა ათი წელიწადია რაც ქართული თეატრი შეუწყვეტლივ სწარმოებს და ამ ხნის განმავლობაში ბევრმა ნიჭიერმა არტისტმა დაამზვენა და ასახელა ქართული სცენა.

ნატო გაბუნია, (ცაგარლის მეულლე) ერთი იმ პირველ ნიჭიერთა არტისტთაგანია, რომელთაც ხელი შეუწყეს ქართული თეატრის ალორძინებას, იმის ფეხის ადგმას და აყვავებას.

ჯერ სრულიად ყმაწვილმა, თვრამეტი წლის ქალმა, ნატო გაბუნიამ გადალიხა ყოველი დაბრკოლება და თამამად, გაბე-



ନାରୀ ପଦ୍ମନାଭ

## ნატოლია გაბუნიას 30 წლის იუბილე

დუღად გამოვიდა სცენაზედ. პირველივე ნაბიჯი ნატოსი იყო მშენიერი და ოღტროვანებული ნიჭით. ქართველი საზოგადოება აღტაცებით მიეგება იმას და თავის საყვარელ და სათაყვანებელ არტისტები მიიჩნია. ყოველი იმისი გამოსვლა სცენაზედ აუარებელ ხალხს იზიდავდა თეატრში და ნატოს ოვაციას ოვაციაზედ უმართავდენ.

ქმარი ნატოსი, ასიკო ცაგარელი თვით ქართული სცენის არტისტი იყო და ლიტერატორი და სწერდა იმისთანა პიესებს, რომელშიაც ნატოს ნიჭი ძრიელებით გამოიხატებოდა. ცაგარლის დაწერილი კომედიები: „ხანუმა“, „რაც გინახავს მას ვერ ნახავ“, „კიმბირელი“ და სხვა სწორედ ნატოს ნიჭის დამაგვირგვინებელნი არიან და აგრეთვე ნატოა ამ პიესების დამაგვირგრინებელი და გამცოცხლებელი.

მაღრიელი სმზოგადოება თავის დღეში არ ივიწყებს თავის ნიჭიერ შვილებს, თავიანთ საზოგადო მოღვაწეებს და ამიტომ ქართველი საზოგადოება ნატოს ოკდა ათის წლის საარტისტო მოღვაწეობას დიდის ამბით და ზეიმით იდლესასწაულებს. მრავალი საჩუქარი მიართვეს, მრავალი შესხმა შეასხეს და თავისი სიყვარული და პატივისცემა საქვეყნოთ, თვალთსაჩინოთ ფიანდაზად გაუშალეს ამ ნოემბრის 29-ს.

მპ. გ.



## ସାରଧି.

କିମ୍ବା ମତିଲେ ଦିନମିଳି  
ବାରଦି ଫିଲିଫାଦ ଗାନ୍ଧିଲିଲି:  
ନାହିଁ, ପୁରୁଷ, ଲାମାହି,  
ଶୁରୁନ୍ଦେଲେବିତ ଅଲ୍ପଶିଳି.

ମିଥ୍ୟ କୀଳିପି ମାର ଜୁବାଦ  
ପୁରୁଷନିର୍ଦ୍ଦା ଶବ୍ଦିବିଶା,  
ଦିଲିଲିଲେ ନାମିପ୍ର ଅନାଖିଦାଦ  
ଅକ୍ଷୁରୁବିଦା ତଥିଲେ ପ୍ରବର୍ଗିଶା!

ଦାମତ୍ରାଲାଲିଯା ଦୁଲଦୁଲି  
ଫିଲିଫା ବାରଦିଲେ ପିଲିତା,  
ଦା ଶବ୍ଦା-ଦା-ଶବ୍ଦା ସିମଲେର୍ଗିଶ  
ଦାକ୍ଷାଲିଲିଦା ପିଲିଲ କମିତା!

ବାରଦି ଫିଲିଫା... ମିରାମରୀ  
ଶେମିଲିଲିଦା ଲିଲାତା;—  
ମେପ ହେମ ପୁରୁଷା ମ ବାରଦା  
ବିନାକିଲି ପିଲିନିଦାତା!..

ମାଗରାମ ଶୁଶମା ଚାମତରିଲିଶାମ  
ହାକୁଲା ନଗି, ହାକୁନିର୍ବିନି:  
ହେମ ଗୁଲି ଶେବଦା ମାକୁନିନା,  
ଶିପୁରୁଷିଲି ଲାଙ୍କୁନି!

**ଲାଲିଲ ପାଦିକିମଣି.**



## პატარა სელიმის ყვავი.



ს ამბავი მოხდა ყირიმში. ერთხელ პატარა თათრის ბიჭი, სელიმი, იჯდა თავის სახლის კარებიან. მის წინ ყვავი დახტოდა. თავი გვერდზე მოქმედდა ცოტ-ცოტათ უახლოვდებოდა ყმაწვილს. სელიმი უცქვნიდა ნიგოზს და უწვდიდა ყვავს. ყვავიც ნაბოძარს ხელიდან ართმევდა, მერე ისევ ხტომით შორიდებოდა მას, გადგებოდა განზე და ქვების ქვეშ. ჩამალივდა ნიგოზის ნაჭრებს ის ახლა გამაძლარი იყო.

სელიმი აკირიდებოდა ყვავის სა-

ქიფილს და ყმაწვილის გამხდარ-გაყვითლებულ სახეზე სიხარული გამოიხატებოდა. სელიმი ვერ იძროდა ადგილიდან, სახლს ვერ მოსცილებოდა. მისი მარჯვენა ფეხი, რაღაც უკნაური ავადმყოფობის გამო, მუხლში მოჰკვეხოდა და ბიჭი იძულებული იყო ან ერთ ფეხზე ეხტუნა, ან ირა და ხის ფეხის შემწეობით ევლო.

მთელი დოები სელიმი წამოწოლილი იყო. მისი მამა მუსტაფა მთებში მიღიოდა, ყანებს ამუშავებდა, ან ყავახანაში იჯდა. დედა მისი კი საღილს ამზადებდა, წყალს ზიდავდა და ან წყაროზე სარეცხს რეცხავდა. სელიმი მთელი დღეებით სულ მარტო მარტო იყო. მისი დები: აიშე და ფატმა დადიოდენ სასწავლებლათ თათრის სკოლაში. სულ პატარა და და ძმა მუდამ ქუჩაში თამაშობდენ თათრის პატარა ყმაწვილებთან. ერთი სიტყვით ყველას თავ თავისი საქმე ჰქონდათ. მარტო სე-  
3



ლიმი იჯდა ხოლმე უძრავად ერთ ადგილას და თავისუალობის  
შავი თვალებით გაიყურებოდა შორს - ცის სივრცეში. ამათ  
სახლს უკან ამართული იყო ყირიმის მთა-გრეხილი. შორს, ძირს  
ბრწყინავდა და ელვარებდა თვალ გაუწვდენელი მძლავრი ზღვა.

მაგრამ პატა-  
რა სელიმის-  
თვის უველა  
ეს მისგან  
შორს იყო  
და ხოლო  
ნატერათ  
რჩებოდა და  
ეს უფრო ერ-  
თი - ორად  
აწუხებდა  
იმას. საბრა-  
ლოს რომ  
მოესმოდა  
თათრის ბი-  
ჭების მხია-  
რული უ-  
ვილ-ხივილი



გული სიმწრით აუტოკდებოდა. თითონ სელიმი ხომ ვერ მიი-  
ღებდა მონაწილეობას ამათ თამაშობაში და გართობაში, ამი-  
ტომ ყმაწვილი ცდილობდა სხვანაირად გაერთო თავი. სულით  
უა გულით შეიყვარა სელიმმა შინაური პირუტყვები: ბებერი  
ნაცრის ფერი კატუნია და მეტადრე ერთი ყვავი, რომელიც  
ძალიან შეიჩინა.

ეს ყვავი სელიმის მამამ მუსტაფამ იპოვა ტყეში, როდე-  
საც ფიჩს აგროვებდა. ულონო, საკოდავი ბარტყი ბუდიდან  
გადმოვარდნილიყო. მუსტაფამ მოჰვევარა სელიმს და სულ აზ  
ეგონა რომ ავათმყოფ შვილს ამითი ძალიან ასიამოვნებს, თავ-  
დაპირველათ ბევრი ზრუნვა და ჯაფა დასჭირდა სელიმს ყვა-  
ვის გამოსაბრუნებლათ. უნდა დაშავებული ფრთა მოერჩინა—  
თავისი დების შემწეობით აიში და ფატმასი კიდევ უშველა.  
მერე სელიმმა დაუწყო ამ გარეულ ყვავს სწავლა, თუ როგორ

ცელიდან გამოერთმია და ეჭამა მიცემული საჭმელი. ყვავს ჯერძარინბ ეშინოდა, შიშით აქეთ იქით იცეირებოდა ხოლმე. მაკამ მალე დაშინაურდა და თავის გამზრდელს, სელიშს, შეეჩნა ეს ფრინველი ავათმყოფს ძალიან ართობდა.

ბარტყი გიზარდა და ნამდვილ ყვავათ გარდიქცა. მალე კევიანმა ფრინველმა დაიმსახურა მთელი სოფლის სიყვარული. ყველა მეზობლები ხალისით აძლევდენ საჭმელს და როდესაც ჭრენის დროს გაიგებდა რომ უძახიან: ყვავო, ყვავო! მაშინ-ვ ჩამოეშვებოდა ძირს და მაღლობით აიღებდა საკენკს. რაც უნდა მოჰვერებოდენ სხვები, ის მაინც დაბრუნდებოდა ხოლ-მე პატარა სელიმთან. აქ იყო მისი მუდმივი ბინა. ყვავი მუ-სტაფას ეზოში მედიდურათ დაიარებოდა ქათმებთა, იხვებთა და ბატებთა შორის. თავის ეზოს ქათმებთან კაიგანწყობილება ჰქონდა. მაგრამ თუ დაინახავდა რომ ამათ ეზოში სხვისი ჭომები შემოვიდენ, გააფორებული მივარდებოდა და ფიც-ხლავ გააღდებდა. მუსტაფას ეზოში შხოლოთ წინანდელ სელი-მის საყვარელ კატუნიას არ უყვარდა ყვავი. უწინ, სანამ სე-ლიმი გაიჩენდა ამ ყვავს, ყველა ნასუფრალი ერგებოდა კა-ტუნიას, ახლა კატუნია ყველას დავიწყებული ჰყვანდა და ამ თაორების მცირე ნასუფრალს—უმი ხორცის ნაჭრებს—ყველა-ფერს გადასდებდენ ხოლმე ყვავისთვის.

ამიტომ ყვავის და კატუნიას შორის ჩუმი მძულვარება გაჩნდა. კატუნია მჯყაითათ ადევნებდა თვალს, თუ ყვავი საღ შეინახავდა ამ გემრიელ ლუქმებს, რომელსაც სელიმი აძლევ-და,—რომ მერე ჩუმათ მოეპარა. ყვავი მიუხვდა კატუნიას გაიძვერაობას და როდესაც ქვებ ქვეშ მოინდომებდა გემრიელ საჭმლის შენახვას თავის მხრით ისიც ქვეშ-ქვეშათ შეჰყურებდა: ის ბებერი ცულლუტი ხომ თვალს არ მაღევნებსო.

ი ახლაც სელიმი რომ უწოდებდა ყვავს უმი ხორცის ნაჭერს და ნიგოზს, კევიანი ფრინველი წავიდა ეზოს ბოლოს მის დასამალაგათ და თან თვალს პრ აშორებდა ქვითკირის კე-დელს. ამ ეზოს გალავანზე გაშოტილი იწვა ბებერი კატუნია და ისე გამალებული იყო, თითქოს სძინავსო. მაგრამ იმას



სულაც არ ეძინა. ის თვალებს ბჟუტავდა, ვერაგულათ აცხა  
ცუნებდა თავის მსუქან ტუჩებს და თან ყურადღებით ადვ-  
ნებდა თვალს ყვავი როგორ, ბეჯითად მაღავდა ქვებ-ქვეშ  
ხორცის ნაჭრებს, ზემოდან აფარებდა გამხმარ ფოთლებს და  
ფალასის ნაკუწებს. ეს ამბავი ჩვეულებრივი იყო, როგა ბო-  
ლოს ჭივიანი ფრინველი გაათავებდა ამ საქმეს, გადახედავდა  
კატას და თავისთვის იტყოდა: „შე ბებერო ცულლუტო, გი-  
ცნობ კარგათ სიგძე-სიგანით, მე ვერ მომატყუებ და ხტუნვით  
მოშორდებოდა თავის ფარულ ადგილს. მერე თითქოს რაღაც  
მოაგონდებოდა — უკან დაბრუნდებოდა, შენახულ ხორცის ნა-  
ჭრებს აიღებდა და სხვა უფრო საიმედო ადგილს მონახვდა.  
კატუნია კი ისევ ბჟუტავდა თვალებს და თავს ისე აჩვენებდა,  
თითქოს სძინავსო.

სელიმს ართობდა ესა, ყურადღებით აცქერდებოდა ამ  
ორთაშუა კატისა და ყვავის ჩემ ბრძოლას. ერთხელ იმან ვერც  
კი შეამნია, როგორ მას დედა მიუახლოვდა. სწორეთ ამ  
დროს კატამ მოპპარა ყვავს შენახული ხორცის ნაჭრები და  
გააფორებულა ფრინველი მივარდა და დაუწყო კატის კუდს  
მწარეთ წიწენა. სელიმის დედა სულ ახლოს მივიდა ავათმყოფ  
შვილთან და დაუდგა ძირს სპილენძის თუნგულა წყლით, მე-  
რე ლოყებზე ალერსით მოუსვა ხელი და მხიარულა უხერთ:

— შვილო, მუსტაფაშ ყურძენი კაი ფასში მიჰყიდა მეზობელ  
მემამულეს. ზოგი ფული მიიღო კიდეც და იალტაში წავიდა  
ფარჩეულობის სასყიდლათ. შენ, აიშეს და ფათმასაც მოგო-  
ტანთ საჩუქრებს, არ დაივიწყებს, რასაკვირველია, პატარა ამე-  
ტას და გულზადს. ყველას გრეგებათ.

სელიმი ისე გატაცებული იყო კატისა და ყვავის ჩხუბით,  
რომ დედის ლაპარაკს ყურადღება არ მიაქცია და თითონ  
მოუყვა მბობას ყვავის საქციელზე და ბებერი კატუნიას გა-  
იძვერაობაზე.

ამ დროს სახლს მოუახლოვდა მუსტაფა, ის იყო დაბრუ-  
ნებულიყო იალტიდან და შეხვეული ნავაჭრი ხელში ეჭირა.  
მაღვე ყველა ყმაწვილებმა თავი მოიყარეს და მოელი ოჯახი

## პატარა სელიმის უკავი

მოუსხდა ცეცხლა პირას. მუსტაფამ აგურის იატაკზე გადაშა-  
ლა თავისი ნავაჭრი. ფერადი თავშლები ცოლისთვის და ქა-  
ლშვილებისათვის, ამეტას ერგო ლვინჭილა, სელიმს ქუდი და  
ჩიკორი. ავათმყოფმა მაშინვე ქუდი თავზე დაიხურა და დებ-  
თნ ერთად მოჰყვა ჩიკორის თამაშობას. ჩიკორი ატრიალდა  
და თავისი ბზრიალით ყმაწვილები აღტაცებაში მოიყვანა. პი-  
რველათ მოხდა, რომ სელიმმა ისე დიდ ხანს მიატოვა უვავი.  
სას მოიფიქრებდა რომ მას განსაკლელი მოელოდა!

ეზოში რაღაც არა ჩვეულებრივი იმპავი მოხდა. მუსტაფას  
სახლის ახლოს იყო წყარო. ამ წყაროს გარს ეხვევოდა აუა-  
ჩება ხალხი თათარიც და რუსიც. აქ იყრიდენ თავს თათრის  
დედაკაცები, მოპერატორი სარეცხი გასავლებათ. ასველებდენ  
წყალში სარეცხს, მერე დასდებდენ ქვებზე და ფეხებით დაუ-  
წყებდენ გაწურვას. ისე მარჯვეთ მუშაობდენ, რომ სწორეთ  
სანახავი იყო. აქვე წყლის დასალევათ მოდიოდენ გამვლელ-  
გამომვლელნი, მათხოვრები, ჩალვადრები, მემუსიკენი და სხვე-  
ბი. ან კარა წყალი წკრიალით ჩამოდიოდა შეუწყვეტლივ.

სწორეთ ამ დროს, როდესაც სელიმი ისე გატაცებული  
იყო თავისი სათამაშოთი—ამ სოფლის წყაროს მიუახლოვდა  
შეორდნე პავლე—თავისი პატარა ბიჭით. პავლემ ძირს, მი-  
წას, დასდგა თავისი ორლანი. პატარა ბიჭაც, სენიმ, ჩამო-  
ძოლ გალია საყარ-ჩიტით. ამას ეს ჩიტი იმიტომ თან დაჰყავდა,  
რომ დაკვრის შემდეგ უუთიდან ამოელო ხოლმე ფერადი ქა-  
ლალდები ბედის შესატყობათ. იმათ წყალი დალიეს და დას-  
ხდენ დასასვენებლათ, სწორეთ მუსტაფას ეზოს პირდაპირ.

— შეხედე ერთი, სენი, ოქვა ერთბაშად პავლემ და ხელი  
გაიშვირა უვავისკენ, რომელიც დახტოდა ეზოში—აი, კაი  
ფრინველი!

უვავი ის იყო მორევოდა კატას. გაეგდო ეზოდან სხვის  
ქათმები. ახლა სახლის წინ დახტოდა და მოელოდა საჭმელს.  
რაკი არავინ არაფერი მისცა სადღაც მონახა ხის გატეხილი  
ჯამი, ნისკარტით დაიჭირა და ერთი ქვიდან შეორეზე მოჰყვა  
ტრუნვას.



— ଏହା କାଳଗଠ ଇନ୍ଦ୍ରପଥରେ, ଏହି ଫୁଲିନ୍ଦ୍ରିଯାଳୀ ରନ୍ଧର ହିଙ୍କଣି ମୁଖୀ  
ଗାନ୍ଧାରିନ୍ଦ୍ରି, ତାଙ୍କୁରେ.

ତାତ୍ପରୀରୁ ଦିକ୍ଷି ଉଚ୍ଚ ମନୁଷ୍ୟରେ, ତାଙ୍କି ଗାନ୍ଧିନୀର, ଗାନ୍ଧାରିତୁମ୍ଭା  
ରୁ ତକ୍ଷା:— ମାରିତଳା ରନ୍ଧର ସାହୁପ୍ରେକ୍ଷଣ ପ୍ରାଚୀରା.

— ଏହି ରନ୍ଧର ହିଙ୍କଣିଗଟିର ବ୍ୟେଳିଶୀ, ରାମଦୟିନ ଫୁଲିର ପାଶୀଯିତ,  
— ଗାନ୍ଧାରିନ୍ଦ୍ରି ତାଙ୍କୁରେ, — ଦିନ କାପ୍ରେଥି ଏହି ଉତ୍ତରର ମୋହିନୀରେବାଟ ଶାଶ୍ଵତ  
ହିତ୍ତିକେ, କ୍ଷେତ୍ରିନୀର, ଏତ୍ତମାତ୍ର ହିତ୍ତିର!

ଯେତେ କି ମନୁଷ୍ୟରେ ଶ୍ରେଣୀ; ତତ୍ତ୍ଵାଲିତ ଅନିଶ୍ଚିନ୍ଦ୍ରି ତାଙ୍କୁରେ, ଶ୍ରେଣୀ  
ନେଇବା ନେଇବା ମିଶ୍ରତ୍ରୀତାର ଏହିବେ.

— ଶ୍ରେଷ୍ଠରଙ୍ଗି! ଉତ୍ତରର ତାଙ୍କୁରେ ଦା ମୁଖୀଶି ପାହିଚିଲି ଏହି-  
ଏହି ମାରିପ୍ରାଣି ମହେତ୍ତରେତ୍ରିନୀ ହିନ୍ଦୁର ବ୍ୟେଳିଶୀ. ଶ୍ରେଣୀ ମିଶ୍ରତ୍ରୀତା ପ୍ରାଚୀ,  
ଗାନ୍ଧାରିନ୍ଦ୍ରିନୀ ମାରିପ୍ରାଣି ଦା ଅନ୍ତରେତ୍ରିନୀ ଉତ୍ତରର:

— ପ୍ରାଚୀ, ପ୍ରାଚୀ, ମନୁଦିବି ହେତୁତାନ.

ପ୍ରାଚୀ ହିଙ୍କଣି ପ୍ରାଚୀ ପ୍ରାଚୀଲାଶବାନ ଅନ୍ତରେତ୍ରି ଦା ଦାଦାଶବାନ୍ତି  
ବ୍ୟେଳିଶୀ ମିଶ୍ରତ୍ରୀତାର ବ୍ୟେଳିଶୀ. ବିଶ ଜୀବି ତିରିପାଦିବାନ ଗାନ୍ଧାରି,  
ରନ୍ଧରେ ଗାନ୍ଧାରିଗଟି ଦା ବିଶକାରିତାର ଦାନ୍ତିପ୍ରାଚୀ ମହେତ୍ତରେତ୍ରିନୀ ଶିନ୍ଦୁର.  
କ୍ଷେତ୍ରିତ ଏହା ପାଦା, ମାଗରାମ ହିନ୍ଦୁର ପାଦାର ପାଦାର ଦା ମା-  
ନ୍ତରେତ୍ରିନୀ ମହେତ୍ତରେ ଶ୍ରେଣୀ. ଏହି ଦରକାର ମିଶ୍ରତ୍ରୀତା ତାଙ୍କୁରେ, ଶତାବ୍ଦୀ ବ୍ୟ-  
ଳି ପ୍ରାଚୀଶି ଦା ଶ୍ରୀମାରାତ୍ରି ପ୍ରାଚୀ ତାଙ୍କି.

ରନ୍ଧରେତ୍ରି ଶ୍ରେଣୀମି ଶାକବାତ ବାକିମାନର ତାଙ୍କିର ବାକିର ଶା-  
ତାମାଶିତି ଗାନ୍ଧାରିପ୍ରାଚୀ ଶାକିଲାଦାନ — ଏହି ଏହାର ଦାନ୍ତିପ୍ରାଚୀ ତାଙ୍କିର  
ମେଘବାରି ପ୍ରାଚୀ. ଏମାରେ ପ୍ରାଚୀରିଲା, ଏମାରେ ହିନ୍ଦୁର ପାଦା ପ୍ରାଚୀରି-  
ଦରିଲା — ମନ୍ତ୍ରିଦିନିଶି, ରନ୍ଧର ଏହି ଏହାର ଶାକିରିନ୍ଦ୍ରି ମିଶ୍ରତ୍ରୀତା ନ୍ତର  
ଶିଶି ଦା ବିଶକାରିତା, ମାଗରାମ ପ୍ରାଚୀ ଏହାର ଶାକିରିନ୍ଦ୍ରି ହିନ୍ଦୁରା. ଶ୍ରେଣୀମିଶ୍ର  
ଦାଦାଶବାନ ଦିନିରାତ ନାନ୍ଦୁରିଲାନ ଦାନ୍ତିକିନା. ବିଶମାରିଶି ନାହା, ରନ୍ଧର ପାତାମି  
ଶିଶିଲାକ ତାଙ୍କିର, ଶିଶି ମାନିଲା, ମାନିଲା ମନ୍ତ୍ରିଦିନିନ୍ଦ୍ରି ମିଶ୍ରତ୍ରୀତା ଏହି  
ମେଘବାରି ପ୍ରାଚୀ, ମନ୍ତ୍ରିଦିନି ଦରି ପାହିଚିଲି ମିଶ୍ରତ୍ରୀତା ଏହି ମନ୍ତ୍ରିଦିନିନ୍ଦ୍ରି  
ମାଗରାମ ଏମାରେ, ପ୍ରାଚୀ ଏହି ମନ୍ତ୍ରିଦିନିନ୍ଦ୍ରି. ଏହି, ଦରିଦିନ ଦାନ୍ତିନ୍ଦ୍ରିନ୍ଦ୍ରିନ୍ଦ୍ରି  
ଶାଶ୍ଵତାଙ୍କୁରେତ୍ରିନ୍ଦ୍ରିନ୍ଦ୍ରି, ମାମାପ ପ୍ରାଚୀରିନ୍ଦ୍ରି ମନ୍ତ୍ରିଦିନିନ୍ଦ୍ରି. ଦରିଦିନ ଦାନ୍ତିନ୍ଦ୍ରି  
ଶାଶ୍ଵତାଙ୍କୁରେତ୍ରିନ୍ଦ୍ରି ଏହି ମନ୍ତ୍ରିଦିନିନ୍ଦ୍ରି. ମନ୍ତ୍ରିଦିନିନ୍ଦ୍ରି ମନ୍ତ୍ରିଦିନିନ୍ଦ୍ରି  
ଶାଶ୍ଵତାଙ୍କୁରେତ୍ରିନ୍ଦ୍ରି ଏହି ମନ୍ତ୍ରିଦିନିନ୍ଦ୍ରି. ସାମାଜିକ ଶାଶ୍ଵତାଙ୍କୁରେତ୍ରିନ୍ଦ୍ରି ମନ୍ତ୍ରିଦିନିନ୍ଦ୍ରି  
ଶାଶ୍ଵତାଙ୍କୁରେତ୍ରିନ୍ଦ୍ରି ଏହି ମନ୍ତ୍ରିଦିନିନ୍ଦ୍ରି. ସାମାଜିକ ଶାଶ୍ଵତାଙ୍କୁରେତ୍ରିନ୍ଦ୍ରି ମନ୍ତ୍ରିଦିନିନ୍ଦ୍ରି  
ଶାଶ୍ଵତାଙ୍କୁରେତ୍ରିନ୍ଦ୍ରି ଏହି ମନ୍ତ୍ରିଦିନିନ୍ଦ୍ରି. ଶାଶ୍ଵତାଙ୍କୁରେତ୍ରିନ୍ଦ୍ରି ମନ୍ତ୍ରିଦିନିନ୍ଦ୍ରି

— ნუ ტირი, სელიმ, ანუგჷშებდა პატარა აიშე, — ყვავი  
უსათუოდ მოფრინდება.

მაგრამ ყვავი არსად ჩანდა.

— გეყოფა ტირილი, შე სულელო, ეუბნებოდა ბუზლუ-  
ნით მამა, — დედაკაციოთ რას გოდებ, მოვა შენი ყვავი, მაშ  
რასა იქს.

### ან. წერეთლისა.

(შემდგბი იქნება)



ტერეთ მიტო, მე გამოსი და მის მიმართ მომართ  
მის აუ კარგი მომართ მის მიმართ მომართ მის აუ  
კარგი მომართ მის მიმართ მომართ მის აუ კარგი მომართ

## ინდოეთის ლეღვის. ხე.



ცენარეთა სამეფოში უმეტეს ნაწილად იმისთანა მცენარებს უფრო შეჩვევია ჩვენი თვალი, რომელთაც მიწაში აქვსო ფესვები, მაგალითად: სიმინდს, ხორბალს, სხვა და სხვა. ბალახს, ბოლოქს, სტაფილოს, ვაშლის ხეს, სხლისას და სხვათა. ფესვებს ასხია წვრილი წვრილი ბეწვები, იმდენად წვრილები, რომ კარგად მათი გაშინჯვა შეიძლება მხოლოდ განმაღიდებელ მინის საშუალებით. მაგრამ სიწვრილე სრულიად არაფერს უშლის ბეწვებს. იგინი



გშვენიერად ასრულებენ თავის საქმეს; ფესვებიდან დაწყებული ყოველ მხრივ გართხმულან მიწაში—მარჯვნივაც და მარცხნივაც, ზევითკენაც და დაბლისკენაც; ერთი ნამცეცი მიწაც


## ინდოეთის ლეგენდა-ხე

კი არ დაუტოვებიათ, რომ მის გულში არ გაეძოსთ. ამნაი-  
 რად გაბმულნი ყოველ-მხრივ, სწუწნიან იგინი დედა-მიწიდან  
 ყველაფერს, რაც საჭიროა მცენარის საზრდოდ. ყოველი მცე-  
 ნარე მდიდარია ამისთანა ბეჭვებით. ერთი ძირი ხორბალი რომ  
 მოვთხაროთ და მისი ფესვის ბეჭვები დავაწყოთ სიგრძეზე  
 ერთი მეორის გაგრძელებით, მაშინ იმისთანა გრძელი ძაფი  
 შესდგება, რომ მისი სიგრძე ცხრამეტი—ოცი ვერსტი იქნება.

ახლა საკვირველი რა არის, თუ იცით? ის არის საკვირ-  
 ველი, რომ ზოგიერთ მცენარებს იმ ფესვებს გარდა, რომელ-  
 ნიც მიწაში გართხმულან, ჰაერშიაცა აქვსთ ფესვები. ავილოთ  
 მავალითად ფათალო (ანუ სურო, როგორც იმერეთში ეძახი-  
 ან). მას გამოსხმია ყლორტზე მრავალი წვრილ-წვრილი ფესვი.  
 ზოგიერთი ამ ფესვთაგანი იმისთვისაა საჭირო, რომ მიამაგროს  
 ფათალოს ყლორტი იმ ხის ქერქს, რომელსაც ჩასწახვია ფა-  
 თალო, სხვა ფესვებს კი ჰაერში გაუშვერიათ თავისი წვერები.  
 ხეებს შორის, რომელნიც ჰაერში იკეთებენ ფესვებს, შესანი.  
 შნავია ინდოეთის ლელვის-ხე. საღაც ბაობაბი იხსენება, იქ ინ-  
 დოეთის ლელვის ხეც არ უნდა დავივიწყოთ. თავის სიდიდით  
 და ოდგილის სივრცით, რომელსაც იგი გადახურვია ვეებერ-  
 თელა კარივივით, ესეც ბუმბერაზი ხეა. სამშობლო მისი არის  
 ცხელი საქცევი აზიისა, სახელდობრ ინდოეთი. უცხო რამ სა-  
 ნახავია ეს ხე! ამოსულა მიწიდან, აუშვია მაღლა თავის უზარ-  
 მაზარი ტანი, განზე შორს გრძელი და სხვილი შტოები გაუ-  
 წვდია, იმ სიგრძე, რომ მათს ჩრდილში მთელს ქარავანს შეუ-  
 ძლია თავი შეაფაროს პაპანება სიცხეში. მერმე თითქო შეში-  
 ნებია, ასე შორს გაწვდილი შტოები არ გადაიმტვრესო და  
 ცდილა მათვის ბოძების შედგმას. მართლაც მიუშველებია  
 ბოძები. აბა, ვნახოთ, რანაირი ბოძები გაუკეთებია. გრძლად  
 გაწვდილს განზე შტოებს აქა-იქ ამოებერებია ხოლმე ქერქი.  
 შემდეგ ამობერილი ადგალები დასქდება და იქიდან გამოჩნ-  
 დება ფესვი. ეს ფესვი თანდათან იზრდება, თავდალმა დაკიდე-  
 ბული, სხვილდება კაი მოზრდილი ხის ტანისოდენად და ბო-  
 ლოს, მიწას რო მიუახლოვდება, ჩაუშვებს შიგ თავის წვერს



დარკეთებს იქ ძირს, ესე, იგი ფესვი კიდევ ფესვს გაიდგამს მოწიშო. ახლა მიწაში რომ ფესვია, შეიძლება იმაზე ახალი ხე ძმოვიდეს, გაიზარდოს და ესეც ბოძად შეუდგეს მთავარ ხის შტოს. ამგვარად იმდენ ფესვს გამოისხმენ ხოლმე ხის შტოები და იმდენი ცოცხალი ბოძი შეედგმის მათ, რომ, ერთად ერთი ხე, რო იყო, ის ბოლოს და ბოლოს თითქმის ტყედ გადაიქცევა და გაჩნდება ლელვნარი. ინდოეთში თურმე იმისთან ხეებს შეხვდებით ამ ჯიშისას, რომელთაც ჰაერში გამოსხმულ ფესვებისაგან ორი—სამი ათასი ცოცხალი ბოძი შესდგმიათ.



ამგვარად ჰაერში ნაზარდი ფესვები აქვს ტროპიკულ ქვეყნებში ბევრ სხვა მცენარესაც. ზოგჯერ იმისთანა ხეები შეგხვდებათ ხოლმე იქ, რომ იფიქრებთ ამ ხეებს ჰაერში დაუშუიათ ზრდა, იქ გაუდგამსთ ფესვებით, მასუკან ამ ფესვებიდან მაღლისაკენ შტოები აუშვიათ, ხოლო დაბლისაკენ მეორე წყობა ფესვები გაუკეთებიათ.


ფესვები დაყოფილან მრავალ ტოტებად და, მიახლოებიან თუ არა დედა-მიწას, ჩაუშვიათ იქ თავისი წვერი და იქ კიდევ ხელახლი ფესვები

გაუდგამსთ. ჰაერში რომ მიწას ზევით ფესვებია გაშლილი, იმდენად მაღალია ეს ფესვები, რომ მათ ქვეშ თავისუფლად შეუძლია დგომა რამდენსამე კაცს. ახლა უეჭველად იკითხავთ, ჰაერში რანაირად იწყონ ხემ ზრდაო. ინ რანაირად: იმ ალგის ყოფილა წინად სხვა რომელიმე ხე, მაღალი, რომელსაც ღრუ ჰქონია. ფრინველს მოუტანია რაიმე ხის თესლი; თესლი, ჩა

## ინდოდთის ლექციები

ვარდნილა ღრუში და იქ ამოსულა თესლისაგან პატარა ხე. ხე გაზრდილა; მისი ფესვებიც გაზრდილან, გადმოსულიან ღრუშან, შემოხვევიან მთავარ ხეს, რომლის ღრუშიაც იწყეს ზრდა, დაუხშავთ ეს ხე და გაუხმიათ. ბოლოს გამხმარი ხე დამზადა, მოსპობილა, მას ალიგის დარჩენილა მელრე ხე, ჰაერ-ფესვებიანი, რომელიც ზემორე აგიშერეო...;

„ლექციი ჭიჭინაძე,





E. SCHILLER.

ମୁଦ୍ରଣ ଶିଳ୍ପି

# პოეტი შილდერის სიყმაწვილე.



რო მშვენიერ ზაფხულის საღა-  
მოს პატარა ლამაზ სახლის წინ, საი-  
დანაც საუცხოვო გადასახედი იყო:  
მოჩანდა მწვანეში გახვეული პატარა  
გერმანული ქალაქი — სწორეთ ამ სა-  
ხლის წინ, ბაღჩაში, თავი მოყეარათ  
რამდენიმე ბავშვს. უფროსი მათგანი  
მაღალი, წამოსადეგი ყმაწვილი, დიდ-  
რონი, მკვირცხლი და ჭკვანი თვა-  
ლებით, ღია მოწითლებული სახით — იქნებოდა  
ხოლო ათი წლისა.

ეს ყმაწვილი გაცხარებული ელაპარაკებოდა გარშემოხვე-  
ულ ბავშებს, რომელნიც დიდი ყურადღებით უსმენდენ მას.

— მაშ გადაჭრით ვამბობთ, რომ ეს ზღაპრის წიგნი უნ-  
და კედელში ჩავატანოთ...

ამ მოლაპარაკე ყმაწვილს ერქვა ფრილრიხი.

და ყმაწვილმა თავისი ჭკვიანი თვალებით გადახედა თა-  
ვის პატარა მსმენელებს. ამ უკანასკნელმა სიტყვებმა საშინ-  
ლათ დააღმონა სულ პატარა გოგონა — ცრემლები თვალებზე  
მოადგა.

— წმინდა ნიკოლოზობის დღის შემდეგ, განაგრძო ფრი-  
ლრიხმა, — ამ ზღაპრებს აღარა იქვთ მნიშვნელობა. მე იმას კი  
არ ვამბობ, რომ აღარ გვიყვარდეს ეს ზღაპრები, ხოლო ბევრ-  
ჯელ გადაკითხული გვაქვს, ზოგს ზეპირათაც დასწავლილი.  
წიგნი შენახული გვექნება ნიკოლოზობის დღემდე და  
ვეცადოთ მისი შინაარსი დავივიწყოთ, მერე როდესაც ამოვი-  
ღებთ, უფრო მოგვეწონება და ხელახლათ უფრო ხალისით  
წავიკითხავთ.

და რაკი ნახა ფრიდრიხმა რომ წინააღმდეგი არავინ არის, წიგნი მაღლა აისროლა და ბავშვებმა უივილ-ხივილით დაიკირქს.

ეს ზღაპრების წიგნი ძველი იყო უბრალო ტყავის ყდაში და გარეგნობით სულ არა გვანდა ახლანდელ ძვირფას საყმა-წვილო წიგნებს, მაგრამ ყმაწვილებს ისე უცვარდათ, რომ არც ერთს მათგანს, არც ერთხელ არ გადუგდიათ. არ მობეზრებიათ მისი კითხვა. ეს ზღაპრის წიგნი ბავშვების მეგობარი და სა-ყავარელი იყო. წიგნს ფურცლები ჩაჰყვითლებოდა ბავშვების ცრემლებისაგან. ყდა გახეხილი ჰქონდა ბევრი თრევით, ჯიბე-ში ტარებით, ბალიშს ქვეშ შენახვით, წვიმის ქვეშ დასველე-ბით, ცეცხლის წინ გახუხვით. ეს იყო საერთოთ ყველას სა-ყავარელი წიგნი, მაგრამ მაინც ყველამ მოინდომეს მისი ჩა-ფლა, მისი ჩატანება კედელში.

ექვს ქრისტიშობისთვეს, ნიკოლოზობის წინაღამებს, ყო-ველ წლივ ყმაწვილებს ჩვეულებათა აქვთ გერმანიაში თავს მოიყრიან ხოლებ და ერთად ზღაპრებს კითხულობენ. ზღა-პრის წამკითხველი მოირთვება ზღაპრის შესაფერი ტანისამო-სათ და ყველას გასაგონათ ხმა მაღლა კითხულობს. ამ მკით-ხველს მეზღაპრეს ეძახიან.

თუმცა ძნელი მოსაშორებელი იყო ზღაპრის წიგნი, მა-გრამ ფრიდრიხის ისე პატივსა სცემდენ და უკერებდენ, რომ მაშინვე მისი რჩევით შეუდგენ წიგნის დამალვას. სად დამალამ-დენ არ იკოდენ. ჭკვიანმა ფრიდრიხმა ახლაც უშველა. იმას დათვალიერებული ჰქონდა, რომ კედლის გალავანში, ერთ ად-გილას, აგურები გამონგრეული იყო და იქიდან რომ ეს აგუ-რები ამოელოთ, კარგა ფართო სამალავი ადგილი დარჩებოდა.

ზღაპრის წიგნი ბევრი კოცნის და ალერსის შემდეგ დი-დის ამბით გაახვიეს ქაღალდში, შედეს კედელში და აგურები ისევ მიუწყეს. პატია გოგონა, რომელიც ყველაზე შეტათ სწუხდა წიგნის მოშორებას, იმედს არ ჰქარებავდა, რომ სამა-გიეროთ უფრო კარგ ზღაპრებს გვიშოვნიანო და თანაც კი თავის თავს ეუბნებოდა:

## შოეტი შილლერის სიუმაწვილე

— რაც უნდა კარგი იყოს ახალი ზღაპრები, მე მაინც  
ვერ შევიყვარებ ისე, როგორც ეს მიყვარდა.

### II

ფრიდრიხის მამა იოგანნი შილლერი ცხოვრობდა ერთ  
პატარა სახლში, ქალაქ ლუიდვიგსბურგში. ის სულ ახალგაზ-  
რდა იყო, რომ ცოლი შეირთო და ხოლო რვა წლის შემდეგ  
ეყოლა ჯერ ქალი ქრისტოფინა და ორი წლის შემდეგ, 29  
ოქტომბერს 1759 წელს, მიეცა ერთათ-ერთი ვაჟიშვილი ფრი-  
დრიხ შილლერი, რომელმაც მსოფლიო სახელი გაითქვა.

ფრიდრიხის საშინელი გონიერი და ცოცხალი ბავშვი იყო.  
თავის დედისაგან, რომელიც იყო წყნარი ხასიათისა, კეთი-  
ლი, ნაზი, გულ-ჩვილი და თანამგრძობელი ყოველი დიადი  
და მნიშვნელოვანი საქმისა—ფრიდრიხმა მიიღო მისგან ჩვილი  
და მოსიყვარულე თვისებები, აღგზებული ხასიათი და პოე-  
ზიისადმი აღფრთვავანება.

მან სწრაფად შეისწავლა წერა კითხვა და სულ მოკლე ხან-  
ში გადიკითხა ყველა წიგნები, რომელნიც მისმა მასწავლებელ-  
მა პასტორ მოზერმა მიაწოდა.

მის დას, ქრისტოფინას, დედისავით მშვიდი, კეთილი და  
მოსიყვარულე ხასიათი ჰქონდა და ფრიდრიხს ის სულით და  
გულით უყვარდა.

1768 წელს, როდესაც ფრიდრიხი მეცხრე წელიწადში  
ჩადგა, სკოლაში მიაბარეს.

მეცადინე და გონებიან ბავშვს მესხიერებაც კარგი ჰქონდა  
და ამიტომ ყოველთვის კაი მოსწავლეთ ითვლებოდა, თუმცა  
თვითონ ყმაწვილი სკოლას არაფრად აგდებდა. მას უფრო  
უყვარდა მეზობლის წიგნის მაღაზია, სადაც თავისუფალ დროს  
სულ იქ ატარებდა. ის აცოცდებოდა ხოლმე თაროებთან მიმ-  
დგარ კიბეზე, ან ქვემოთ მის საფეხურზე დაჯდებოდა, სათი-  
თაოდ წიგნებს ფურცლავდა და ყველა წიგნებს ერთი ათჯერ  
მაინც გადიკითხავდა. მას ლექსების კითხვა მეტად უყვარდა,  
— მათი კითხვით გიუდებოდა, თუ ჩაიგდებდა ხელში — ველა-  
რას გზით ვეღარ მოაშორებდით.



ერთხელ წიგნების გასინჯვის დროს ფრიდრიხი წააწყდა ძვირფას ყდაში გაკეთებულ რამოდენიმე წიგნს. წიგნები მშვენივრად დაბეჭდილი იყო, მაგრამ მისთვის გაუგებარი ენაზე იყო ამ დროს მაღაზიაში წიგნების მყიდველები იყვენ და ვერ გაბედა მაღაზიის პატრონისთვის რამე ეკითხა, გადგა განზე და აღტაცებით შესცემროდა ლექსებს, თითქოს უნდოდა მისი მშვენივრობით დამტკბარიყო. მყიდველები გავიდენ თუ არა, ფრიდრიხი წიგნებით ხელში მიუახლოვდა მაღაზიის პატრონს.

— რას მეტყვი? უთხრა ლიმილით ვაჭარმა.

— რა ენაზეა დაწერილი ეს წიგნი?

ვაჭარმა ისევ ლიმილით უპასუხა:

— იტალიანურ ენაზეა. პეტრარკის თხზულებაა... ძვირფასი წიგნია, გაუფრთხილდი.

ფრიდრიხმა ნაღვლიანათ თავი ჩალუნა, ამოიოხრა და განზე გადგა... რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ მიუახლოვდა ვაჭარს.

— რა ამბავია კიდევ? პკითხა მან.

— გაქვთ თქვენ იტალიანური გრამატიკა?

— აი ეს ერთილა დარჩა, უპასუხა ვაჭარმა და გადმოიღო თაროდან წიგნი.

ყმაწვილმა გადაშალა წიგნი. მაგრამ ისევ მაშინვე ნაღვლიანათ დახურა.

— ეს ყველა იტალიანური ყოფილა.

— სულაც არა, უპასუხა ვაჭარმა, ეს ფრანგული და იტალიანურია ერთად. რად გინდა გრამატიკა, შეიოლო?

ყმაწვილი წამოწითლდა, თვალები ძირს დაუშვა, თითქოს რამე ცული შეამჩნიესო და საჩქაროთ უპასუხა:

— უნდა უსათუოდ ეს ლექსები წავიკითხო. ამისთვის კი საჭიროა იტალიანური შევისწავლო...

— გრამატიკის შესწავლით გინდა პეტრარკის თხზულება წაიკითხო? შესძახა ვაჭარმა, — ეგ მეტის მეტია.

— ლექსიკონსაც ვიხმარ, რატომ არ შეიძლება? თქვა-ფრიდრიხიხა.

— იმიტომ არ შეიძლება, ჩემო ფრიდრიხ, რომ ენის შესწავლას მასწავლებელი უნდა, ბევრი ვარჯიშობა და მეცა-დინეობაა საჭირო.

— მე ოღონდ მქონდეს გრამატიკა და ლექსიკონი, მერე მე ვიცი, როგორც წავიკითხავდი პეტრარკის თხზულებას.

— ამა რა გითხრა, ვინ შენ და ვინ პეტრარკი! რა მე-შველებოდა მეცა და ჩემ მაღაზიასაც, რომ პეტრარკის თხზუ-ლება თაროებზე მეწყოს, სანამ შენ შეიძლებ მის კითხვის.

ფრიდრიხის გული მოუვიდა და წყენით უთხრა:

— შეინახეთ ეგ თქვენი წიგნები? თუ მე კარგათ ვიქენები და ცოცხალი, დიდ ხანს არ დაგრჩებათ თაროზე. აი ნახავთ როდისმე, რომ მე უსათუოდ ვიყიდი შაგას.

და ყმაწვილმა პირი მიიბრუნა, რომ მის თვალებზე ცრემ-ლები არ დაენახათ.

ვაჭარი გაოცდა, თვალები ფართოთ გაახილა, ყმაწვილს მიუახლოვდა, სიყვარულით გადაეწვია და უთხრა:

— ჩემი პატია მეგობარო, შენ უნდა მდიდარი დაბადებული-ყვი. ბერლინში ამ ერთ თვეში დაიბეჭდება იტალიანური გრა-მატიკა და მე უსათუოდ გამომიგზავნიან რამდენიმე ცალს, გაჩვენებ და თუ შეისწავლი მაგ ენას — გაჩუქებ მთლად პე-ტრარკის თხზულებას. ახლა წამო ჩემთან, ვისადილოთ.

და ყმაწვილი ხელ დაჭრილი გაიყვანა მეორე ოთახში, საღაც ვაჭარს ხადილი მოელოდა.

ფრიდრიხის მამამ არც კი იცოდა, რომ შეილი მისი ახე ხშირათ დადიოდა ხოლმე წიგნის მაღაზიაში. იმას გავონილი ჰქონდა, რომ ვაჭარს უყვარს ყმაწვილი და ფიქრშიაც ვერ გა-იტარებდა, რომ მის შეილს თითქმის მთელი მაღაზის წიგნე-ბი გადაეკითხნა უკვე. არც არავის ენახა ის ქაღალდის ფურ-ცლები, რომელიც ყმაწვილს მოჰქონდა მაღაზიიდან და აჭრე-ლებრა ლექსებით. არავინ არ იცოდა არც ის, რომ ბავში მთელი ლამეობით მომავალზე ოცნებობდა, მაშინ ის სულ ბე-დნიერათ გრძნობდა თავს. დღითი ის ბავში იყო, — დამე დღა დებული კაცი: მიღებული სახალეებში, დაჯილდოვებული დიდრ კაცებისაგან, აღთროთვანებული იმათი ქებით, მის ნა-



წერებს ყველგან თეატრებში არდგენდენ, მისი გამოჩენილი თხზულებები წიგნის მაღაზიების თაროებს ამშვენებდენ, თითქოს დიდძალ ფულსაც შოულობდა, ხოლო თავის თავზე არას ხარჯავდა, დედ-მამას აწოდებდა. მისთვის საკმარისი იყო ხოლო დიდებული სახელი. ყმაწვილი ლამე ასე ბელნიერი იყო, დღი თი კი შენ მტერს, დილა აღრიანათ აღვიძებდენ სკოლაში წა-სასვლელათ და ოჯახში მოელოდა უფერულათ დროს გატა-რება.

### III

დადგა შემოდგომის დიდი ლამეები, მაგრამ ყმაწვილებს ფიქრათაც არ მოსიონდათ თავიანთ საყვარელი ზღაპრები კე-დლიდან გამოელოთ. ბშირათ პატარა გოგონა სხვებთან ერ-თად სწორეთ იმ კედელთან თამაშობდა და წიგნს უჩურჩუ-ლებდა: მალე მოვა ნიკოლოზობა და მაშინ კი ისევ გნახამთ.

არც მამამ და არც დედამ არ იცოდენ ეს ამბავი. მამა საქმეების გამო იშვიათად იყო ხოლმე სახლში, დედასაც შე-ნაური საქმეები ბლომათა ჰქონდა და არ შეუმჩნევია წიგნის გადამალვა.

ზამთარიც დადგა, დღე-დღეზე უნდა გამოელოთ კედლი-დან წიგნი. ერთი ბავში მეტად მოუსვენრად გრძნობდა თავს, ყველამ დაუწყეს მიზეზის გამოკითხვა და ისიც გამოუტყდა: „რა ვქნა, ვერა გზით ვერ დავივიწყე ჩვენი საყვარელი ზღაპ-რების წიგნი. თითქმის ერთი წელიწადი გავიდა და თითქოს გუშინ ვიკითხვო ისე აღტაცებული ვარ იმ ზღაპრებით.

არც სხვებს დავიწყებოდათ, ხოლო მარტო ფრიდრიხი არაფრად ნაღვლობდა.

ბოლოს დადგა დრო, ნიკოლოზობის წინა დღე იყო. ყველანი გაემართენ კედლისაკენ, აგურები ამოიღეს და ქა-ლალდში გახვეული წიგნი. ზღაპრები ისევ ისეთი იყო, ხოლო წიგნის კანი ცოტა დაშავებულიყო ნოტიოსაგან. ყმაწვილებმა ზღაპრის წიგნი მაღლა აისროლეს, პატარა გოგონამ საჩქაროთ სტაცა ხელი და აკოცა.

ყველა დაღონებული დაბრუნდა სახლში, ზღაპრის წიგნი მაგათ აღირ გამოადგებოდათ, არ იცოდენ ვისზე ამოეყარაოთ

ჯავრი. დაინახეს რა ფრიდრიხი ყევდრებით მივარტენ. — ამთ-  
დენა ნალველი რაზე დაგვატეხე თავზეო; ყმაწვილი ჩვეულებრივ  
ფიქრებში იყო წასული, მოვიდა თუ არა გონზე — უთხრა მათ.

— რა იყო, რა ამბავია? რამ დაგადონათ აგრე, ლირს  
ეგ უბრალო ზღაპრები, რომ მაგაზე ავრე აშფოთდეთ.

— აბა, სად არი სხვა უკეთესი, მივარდენ ყმაწვილები  
უფრო თამამად ფრიდრიხს.

— დღდი რამ არი, მაგისთანას ათას მოვიგონებ! წიმოი-  
ძახა ყმაწვილმა. იმათი თავიდან მოსაშორებლათ

— ჩვენო ფრიდრიხ, ვიცით რომ შეგიძლიან, აბა, დაგვი-  
წერე რამე ლეგენდა, ზღაპარი...

— ნუ სულელობთ, მე გაგეხუმრეთ, დაწერა არ შემიძ-  
ლიან.

— არა, შეგიძლიან და კიდეც უნდა დაგვიწერო, და  
უყვირეს ყმაწვილებმა.

დამაც დაუწყო ხვეწნა, ბოლოს ფრიდრიხმა თქვა:

— კარგი, ვეცდები, იქნება მოვახერხო და ყმაწვილი  
აღელვებული გავარდა ოთახიდან.

ის დაფიქრებული გაეშურა ქალაქ გარეთ, წისქვილისკენ,  
შედგა მის აქაფებულ წყალთან და მიეცა ოცნებებს. წყლის  
ყრუ და იდუმალ ხმაურობაზე თვალებში სხვა და სხვა მოჩვე-  
ნებები მოელონდა. მერე უცბათ წამოიძახა:

— ხო და დავწერ ბალლადას! აბა ვნახოთ თუ არ დავწერ.  
და გაეშურა შინისკენ.

#### IV.

ბინდი იყო როდესაც ფრიდრიხი დაბრუნდა სახლში. მო-  
იწყო ქალალდების ფურცლები და მოჰყვა წერას. ექვს დღეს  
ექვსი ბულლადა დაიწყო და არც ერთი არ გაათავა. მეშვიდე  
დღეს ყველა დაწერილი დახია. ყველა მისი ნაწერი მიგვანე-  
ბოდა წაკითხულ და გაგონილ ამბებს. ის წვალობდა, იტან-  
ჯებოდა, უნდა კარგი რამე დაეწერა, მაგრამ ვერა გააწყორა.  
ბოლოს იფიქრა სახუმარო რამეს დავწერო, არც ეს იყო ად-  
ვილი, ყმაწვილებისათვის ზღაპრის დაწერა უფრო გაუძნელ-  
და. ბოლოს გაბრაზდა და ნალვლიანი დაწვა რომ ქვეშაქებში  
გამოეტირა თავისი უზომო მწუხარება. ყმაწვილს ჩაეძინა. სიზ-  
მარში ნახა, რომ წიგნის მაღაზიაში ეძებდა თავის დაწერილ



ფურცლებს და უცბათ წარწყდა მშვენიერ ყდაში პეტრარკის თხზულებას, გახსნა და შიგ ნახა ნემეცურათ დაბეჭდილი თვისი ბალლადა,—ის ბალლადა, რომლის დაწერა ვერ შესძლო. წიგნს ზედ ეწერა მისი სახელი და გვარი.

ოღფროოვანებული, გახარებული იღებს წიგნს და განიდის ქუჩაში. ის ყმაწვილი აღარ არი ახლა—ვაჟავაცია. ხალხი აღტაცებით გზას უკრავს გარშემო ეხვევა, ქუდებს მაღლა ის-ვრის, დედაკაცები ბავშვებს უთითებენ მასზე. სახლების ავ-ნები და ფანჯრები მაყურებლებით სავს ეა, ზემოდამ ფირუზის ფერი ცა დაპყურებს, კაშკაში მზე ეფინება დედამიწას, სასახლებს, ეკლესიის და გუმბათებს...

ფრიდრიხი მიეშურება არა ჩვეულებრივი, დიდებული, შენობისკენ, რომელიც ოქროს ვარაყებით შემკულია. გარედამ ამ შენობას აწერია: „დიდების ტაძარი“, ამ სიტყვის თავზე გვირგვინია ბრილიანტებით მოჭედილი და მზის სხივებით განათებული ელვარებს. ფრიდრიხს გული აევსო ნეტარებით, ათროოლდა და თითქოს იდუმალი ხმა ეუბნებოდა. შენი მიზანი აქ შესედა უნდა იყოს, იქ მოველის დიდება სახელ-განთქმულობა, წალი იქ, წადი. შენშია უდიდესი ძალა, — ნიჭი. უბრალო საჭ-მებზე ნუ ხარჯავ შენ ღონეს. ერთ წამს დიდი სინათლისა-გან ფრიდრიხმა თვალები დახუჭა და როდესაც. ხელახლათ ახილა—სასახლე აღარ მოსჩანდა, ხალხი კი ისევ მრავალი იყო და ჰაერში გაისმოდა მხიარული კიუინა. ყმაწვილი ახლა თავის სახლში ბრუნდებოდა .. მამა დაუხვდა როგორც დიდებულ კაცს კარებში და მიართვა სავსე ფიალა ნექტარით, ფრიდრიხი შედის სახლში, ჯდება სავარძელში, დედა უახლოედება მას, ყმაწვილი უნდა წამოდგეს, დედას აკოცოს. ამ დროს ჭიქა უვარდება და ტყდება. ფრიდრიხი წამოხტება, რომ ნამტვრევები აკრიფოს და უცბათ გამოეღვიძება. თურმელოგინში კა, ჭიქა წყლით, რომელსაც ყოველ ღამე იღვმდა და გვერდით, რადგან ძილი მოუსვენარი ჰქონდა.....მართლა გადმოუდარდა, თურმე ეს ყველაფერი სიზმარი ყოფილა. ყმაწვილი ისე საშინლათ შეწუხდა რომ თავი ჩაყო ბალისში და მოპყვა მწარეთ ტირილს.

(დასასრული შემდეგ)

ა6. წერეთლისა.


## ჰაერში ფრენა.



იდი ხანია, ძლიერ დიდი ხანია, რაც აღამიანის კუთხია სცდილობს გამოიგონოს იმისთანა რამ მან-კანა, რომ ფრინველიავით ცაში ფრინოს. ჯერ ისევ მეოთოსტმეტყველ საუკუნეში .სოფლიო გამოწე-ნილმა მხატვარმა და გენიოსმა მეცნიერმა დე ვინ-ჩიმ განიძრახა მფრინავი მანქანის გაკეთება. იმან ერთხელ თვალი გაალევნა მერცხლის ლალს ფრენას და მის კეკლუცად ფრთების რხევას და სთქა: „ნუ თუ კაცი ვერ მიბაძეს ამ პატარა ლამაზ ფრინველსაო“.

დე-ვინჩიმ ზედ მიწევნით იცოდა მატიმატიკა, მხანიკა და ფიზიკა და ამ მეცნიერების დახმარებით შეუდგა საჭმეს. გა-აკეთა მშვენიერი ფრთები, შეუაში ჩაუდგა მოძრავი აპარატი, მხოლოდ ჯერ ჯერობით ვერ ბედავდა მის გამოცრას. ერთი მისი მოწაფე, გატაცებული დე-ვინჩის გენიოსობით და დარწ-მუნებული რომ ამისი მასწავლებელი ნამდვილი შემქველი იყო ცაში მფრენი მანქანისა, გაბედული იყიდა მაღლა ბან. ზედ, შეისხა იმის გაკეთებული ფრთები და მანქანა დააბრუ-ნა, მაგრამ ის მსხვერპლათ გახდა თავისი რწმენისა და ძირს დავარდნილი ლუკმა ლუკმად იქცა. შემდეგაც მრავლისაგან მრავალი გაბედული მეცნიერნი აკეთებდნენ მფრენავ ბურ-თებს, ცალილობდნენ ჰაერში ფრენას, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. ჰაერის დამორჩილება ვერ შესძლეს. ქარი საითაც და-უბერავდა, იქით წაიღებდა მსუბუქს მფრენავ ბურთს და ხში-რად მისი მამგონნი მსხვერპლად ხდებოდნენ თვისის გატაცე-ბისა. ხან ზღვა სთქამდა მათ და ხან კლდის ნაპრალები ჰგლე-ჯდა, როგორც ბურთს, ისე მათ თავხედს გამამგონებს.

მაგრამ მრავალმა უბედურებამ არ შეაყენა კაცის მოუ-სვენარი გონება და ჰაერში მფრენავის მსურველნი ათასობით იხშოდნენ და მუშაობდნენ ბურთების გაუმჯობესობაზე ასე მი-



ဒေသရုံးက မြတ်ကြနာဖွက ဆာန်းနောင်း ဇန်နဝါရီလ၏ စွဲ။

## ჭარბი ფრენა

დიოდა დრო და ხანი. მხოლოდ ამ უკანასკნელ ორ სამ წელიწადს ჰაერში ფრენამ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ ეხლა ყოველ ეჭვ გარეშეა, რომ კაცმა ნამდვილად გაიგო რაშიც არის ფრენის საიდუმლოება და ამას იქით ის ისე თავისუფლათ იფრენს ჰაერში, როგორც თავისუფლად დაპქროლავდა ორთქლ მავალის გემებით ზღვაზედ, რკინის გზით დედა მიწაზედ.

საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ამერიკაში და სხვა ქვეყნებშიც რამდენიმე კაცმა გამოიგონა იმისთანა მფრინავი მანქანა, რომლითაც ის თავისუფლად ადის ჰაერში რამდენსამე ვერსზედ, იქ დაპქრინავს და შემდეგ. თავის სურვილისამებრ, ეშვება დედა მიწაზედ.

ამ ორი სამი თვის წინად ფრანგი ინჟინერი ბლორიო თავისის მონოპლანით გადაფრინდა ორი ქვეყნის ერთმანეთან გამყოფ ზღვაზედ—ლამანშედ და რამდენიმე დღის შემდეგ ისევ თავის სამშობლოში გადმოფრინდა.

ამის შემდევ ყველა გამომგონი მფრენავი აპარატისა წავიდა მსოფლიო ქალაქ პარიზში და იქ გაიმართა დოლი ჰაერში მფრინავი მანქანებისა. მთელი პარიზი მოწამე იყო თუ როგორ იმის ზემოდან დაფრინავდნენ ჰაერო—პლანები და რა სიადვილით და მოხერხებით უქცევდნენ გზას ერთმანერთს და როგორის მოხერხებით და სიადვილით ჩამოდიოდნენ დანიშნულ ალაგზედ. ეხლა ჰაეროპლანის პატრონები მიღიან იმ ქალაქებში და ქვეყნებში, რომელთაც ჯერ ვერ გამოუგონიათ ამგვარი მანქანები და უჩვენებენ თავიანთ გასაკვირველ ფრენას


„ფრანგი გიუო მოვიდა პეტერბურგს“, იწერებიან იქაური გაზეთები. „საშინელი ბურუსი იდგა, ქარი პქროდა, თოვლი მოდიოდა, მაგრამ მთელი პეტერბურგი გავიდა მოედანზედ, საიდანაც გიუო ნელა-ნელა, მაგრამ გაბედულათ აფრინუა ჰაერში. ხალხმა აღტაცებით მიიღო და დაუსრულებელი ვაშათი დააჯილდოვა გამბედავი მფრენავი.“

გიუოს აპარატი წააგავს ნევსკაპია მშერს. იმასავით გძელი კუდი აქვს, თავთან მიმაგრებული მსუბუქი, ჰაეროვანი

ფრთხი და ფრთხებ შეუა მოტორი, ელექტრონის მანქანა — ჩა-  
ტარებელი. მოტორთან ზის თვით გაუო, თეთრი ბუმბულის  
ტანისამოსით და ჭუდით და თითქო იმ ილიუზიას ჰბადებს,  
რომ თვითაც ფრინველს წააგავს.

ამბობენ, ჩვენ დედაქალაქ თბილისშიაც მაღლ მოვა ფრან-  
გი ბლორიო და მაღლ ჩვენც ჩვენის თვალით დაჭ. ნახავთ იმ  
უდიდეს და უმშვენიერეს გამოგონებას, კაცის დაუღალეობის  
შრომის და მისის გონების შორს მჭვრეტელობას.

ეპ. 8—ხა.



მისამართის მოწვევა 1910 წლისთვის.

# ჩ რ ი ტ ე ბ

1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

ეფუძნ დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელს გაზეთს ექნება

## სურათების დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ — კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანი: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ლირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან.

10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალგბ ნომერი უკეთეს ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპიკი

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

კ ა ლ ე ნ დ ა რ ი 1910 წლის

ს ე ლ ი ს მ ი წ ე რ ა ჭ ე რ ა ჭ ე რ ა მ დ ი თ დ ა ტ ე ი ს შ ი :

„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შ. ქუჩუკაშვილთან — სასხლის ქუჩა, თავადაზნ. ქარვასლა; ნაძალადებში მებურე მელიტონ ღოღობერიძესთან — მავისტრალი ქუჩზე, გრიბოლ ჩარკვანის სახლში; რკინის გზის მთავარ სხელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან — ტოკარნი ცეხი.

ს ე ლ ი ს მ ი წ ე რ ა ჭ ე რ ა ჭ ე რ ა მ დ ი თ დ ა ტ ე ი ს შ ი :

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიც იმავე ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანის წარუდგენება.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 საათ თამავ. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: თბილის, რედაქცია „დროება“ И. С. АГЛАДЗЕ.

# 8 АРХИЛОН

საუმანვილო ნახატებათი ქურნალი.

## ოცდა პირველი

### წელი მარტი

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლ.

გამოვა თვეში ერთხელ. ქურნალში თრი განცოფილებაა:  
პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ქურნალი „ჯეჯილი“

თბილისში ეღირება + მ. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5.  
ნახევარი წლით 3 გ.

ფასი ნომერი 10 კ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:  
მუთაისში წიგნის მაღაზიას „იმპრეს“ და ბათუმში გ.

კალაბდაძეს.

ფოსტის აღრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго  
журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ა. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1910 годъ на газету

## „ЗАКАВКАЗЬЕ“

(ГОДЪ ВТОРОЙ)

ПОДПИСНАЯ ЦЕНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:

за годъ . . . . . 6 р. — к.

за полгода . . . . . 3 р. 50 к.

Съ пересылкой въ другіе города:

за годъ . . . . . 8 р. — к.

за полгода . . . . . 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдѣльныѣ №—5 коп. Загра,  
ницу вдвое. За перемѣну адреса городского на иногородній—1 р.,

съ иногородняго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Тифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова,  
общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва. Редакція откры-  
та отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера.

Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель Г. I. Амираджиби.